


# ლიტერატურული გაზეთი

№9(193) 5 - 18 მაისი 2017

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ზაალ	სამადაძვილი
ლია	სესია
რა	ყიციანი
მუხამ	მეგრულიძვილი
გვანცა	ჯობაძა
ნაცალია	ზაინაძე
დიმიტრი	ნიკლაყვი
სუგზამ	ზაზანაძვილი
გოფრლო	ჯაიიზე
ლა	მესტრული
მაია	დანელია







### ლია სტურუა

ხელფასს ახლაც ვერცხლით უხდიან,  
სინჯი აშკარად იკითხება  
და ამხელა ტკივილი — ჩემი რწმენა!  
კიდურებზე იყო ნათქვამი ლურსმნები  
და არა გლანდებზე!  
დუმილი? ესეც შემიძლია,  
ოღონდ, სიტყვით აღწერილი,  
ანუ თეოლოგია, სიყვარულის თეოლოგია  
ჩემი მის მიმართ...

\*\*\*  
რამდენჯერ მომკლეს შენს თვალწინ!  
რამდენი ნუხილი მოგაყენე!  
ვერ დამიცავდი, ვერ ამეფარებოდი,  
მთავარ ნერვს ეძებდნენ.  
გვერდითებს და მეორეხარისხოვნებს.  
ვუფრიალებდი, ვატყუებდი, როდემდე?  
მათი ძალაუფლება — ჩემი ნერვები,  
თავისი ანთებებით! ამ შუქზე ვწერდი,  
სხვა განათებაზე ლექსი აღარ,  
ნორმალური ტექსტი გამომდიოდა.  
აქეთკენ მაქეზებდნენ, ერთ შეკითხვაზე  
ერთი პასუხისკენ, ჩემი ყოყმანის ვარიანტებში  
მუსიკაც იყო, ურითმობაც, ქვეცნობიერის  
ანარქიაც, ვერ ჩაერეოდნენ  
და სქოლიოში დარიშხანის  
მადანი ჩამინერეს.  
მაინც, ყოველი ეგზეკუციის მერე  
ელვარება მატულობდა,  
ღმერთი ჩემს მხარეზე იყო...  
ახლა შენ აღარ ხარ, ნერვები გადაინვა,  
რაც დარჩა, სულზეა გამოშვებული,  
ველარ მინვდებიან...

### იძნებ, ჯერ აღრეა

ზამთარი, ყელამდე შეკრული,  
სადაფის ღილებზე-მეთქი, ვიტყვოდი,  
მაგრამ სინამდვილის შელამაზებაში ჩამომართმევენ  
კიდევ, სახლი მაცვია ტანზე  
და დახშული ვარ ურთიერთობისთვის.  
სიტყვა რომ მუცელში ცეცხლით იწყება,  
ამ ფიზიოლოგიას, თუ ლექსის სათავეს ვის დაანახებ?  
ტვინს რაღა ათბობს? შარავანდედის მოლოდინი?  
ხელი რომ ავუქნიო ეიფორიას,  
ყველა სიმრგვალე ჩამოვიჭრა  
(ვაშლი არ იკეცება) და მინაში თბილა!  
მაგრამ შვილები? ცნობისმოყვარე,  
უმწეო კუთხეები? აშენებას დაუპირებენ,  
კედლობას, რომ არავითარი სიმრგვალიდან  
არც ერთი ბარტყი არ გამოუჩნდეთ!  
და როგორ არ გამოვბზიკო  
ყველა შესაძლებელი ვაშლი?!  
ქვეყანას თვალები დაუხუნელო.  
დამელაპარაკოს მზის გემოთი პირში,  
დაგვიანებით, მაგრამ ისე ტკბილად,  
რომ ვერ ვთქვა: — რაღა დროს?  
იქნებ, ჯერ აღრეა, პირიქით, აღრეა  
და ზამთარზეა დამოკიდებული ღილების შესხნა?

\*\*\*  
ჯერ მარტო ნოემბერია  
იქნებ გავძლოთ, იქნებ გავძლოთ გაზაფხულამდე?  
დედაჩემმა თავს უშველა, მოკვდა,  
ცადკინის დანგრეულ ქანდაკებას გავდა,  
სიკვდილმა თავიდან ააწყო,  
ლამაზი ყოფილა!  
თვალებს ვითბობ მისი ყურებით,  
სანამ დაეფარება თოვლი,  
თუ ჩაქვავებული მანწინის ყვავილები.  
სანამ პირველ იასამანს მივუტან  
გაზაფხულზე, რომელიც აღარც კი მახსოვს  
როგორი იყო, თუმცა წინათ  
წელიწადში ერთხელ მოდიოდა...

### რაგლე ქართულად

კარებში მოყოლილი აბლაბუდები ჭრიალებენ,  
ვწერ ლექსებს გამოუსავლობაზე  
და სინათლეზე, გავდივარ გარეთ, ვბრუნდები,  
დროის რომელიმე მონაკვეთში  
ყველა ვალისგან ვთავისუფლდები  
და ფარულ ვნებას ვეძლევი —  
ვკითხულობ რაბლეს:  
ამიტომაც მთები, ხორცის წითელი კილომეტრები,  
მწვერვალამდე, ქონის მარმარილომდე,  
რომელიც მზეს პირში უდევს!  
ჰედონიზმის ნაგლეჯი, თუ ქართული გადახრით,  
შავი მერცხლების სამგლოვიარო ჩარჩოში —  
ვინმე არასაოპერო ტენორის პოზა,  
ვერცხლის სურებით რომ დაედგა  
თავი სცენაზე, როგორც მაღალი ხმების წესია,  
ობერტონებით ბანი დაეთრგუნა  
(თაფლიანი გობი დიაფრაგმაში),  
რამდენიმე კვილს კიდევ ეყოფოდა,  
საერთო ხავერდისთვის,  
ბოლოსდაბოლოს ფარდას დახევდნენ...

და რა შუაშია ის კუსტარული ტენორი,  
მგლოვიარე მერცხლების ჩარჩოში?  
იქნებ, გუნდის რაბლეზიანურმა სიუხვემ  
შეჭამოს? რომ დაეჯდე წყნარად  
და ფარულ ვნებას მივცე:  
ვიფიქრო იმაზე, რაც მენათესავება  
სისხლის ჯგუფით და ლიტერატურით...

\*\*\*  
როგორია,  
კბილის ჭანჭიკში  
კიდევ ნერვი რომ გაქვს ჩაყოლებული?  
ან კაცი რომ გამოვივლის ქუჩაში  
და მის დანახვაზე  
ძვლები თეთრად გიდნება?  
რასაც ურუანტელს არქმევ  
და არა ამბავს. მერე, როცა  
სიტყვა ხატისკენ წაგივა  
(მაინც, შენი ხელობაა)  
ვთქვათ, ცივი რძის ფსკერზე  
შაქარივით დალექილ სევდას,  
რომელიც მოვა, სკამზე ჩამოგიჯდება  
ამხელა თეთრი მშვენიერება  
და ახლა ბავშვებს წაგართმევს,  
სხვადასხვა მიმართულებით ტყუით:  
ის — თავსზევით, შენ — რეალიზმისკენ,  
როცა საქმე ბავშვებს ეხება,  
გავიწყდება, როგორი იყო,  
კაცი რომ გამოვივლიდა ქუჩაში  
და მის დანახვაზე  
ძვლები თეთრად გიდნებოდა...  
ამისგან არ აკეთებენ იასამანს?

### მის მიმართ

ღმერთმა მოიგონა ადამიანი?  
თავისი სამოთხით, ნეკნიდან გამოღებული  
ქალით, სრიალა ტვინით?  
(ნაოჭების შესაძლებლობა გათვალისწინებული,  
დაზუსტებული მასალა თიხა,  
მეტი დამაჯერებლობისთვის)  
თუ ადამიანმა მოიგონა ღმერთი?  
მთელი ამ რეკვიზიტებით, დემოკრატიული ბუნებით,  
ვალის ხე — არჩევანის უფლება,  
შემოქმედებისაც — ამხელა ბიბლია!  
შიშის გამო? სიყვარულისთვის,  
გაკვირვების მერე რომ მოდის?  
და როცა ორი გაკვირვებული ერთად,  
მათ შორის ღმერთი!  
ოღონდ, ის კი არა  
ჩანაფიქრი რომ დაურღვიეს:  
მოდრავი და მშობიარე თიხიდან  
რა ბაროკოს გამოიყვანდა, ან გოთიკას?  
უარი უნდა ეთქვა არქიტექტურაზე,  
რამდენიმე ფრთიანი ფრაზისთვის  
ხორცი შეესხა (შვილებს ასეც აკეთებენ)  
და პრაგმატიკოსი  
ბარაბად იწყებდა მუშაობას (ახლაც მუშაობს),  
მშიშარა მასა რკინა-კავეულობის მაღაზიიდან  
ლურსმნებს გამოიტანდა (ახლაც გამოაქვს),  
პროფესიონალი მკოცნელები  
მალვიძარა საათის თანხლებით იმუშავებდნენ  
(მამლები — გაუმართლებელი ეგზოტიკა),



ეკა კვიციანი

\*  
მიყვარდი...  
მკლავდი...  
წარსულია,  
მაგრამ...  
ვერ ვხვდები,  
უიმტიკვილოდ  
რატომ ვკვდები  
ახლა, ყოველდღე...  
ან ნეტავ,  
თვალთა უპეებში,  
თეთრი ტერფებით,  
შავ ნაკვალევებს  
ლამეები  
როგორ ტოვებენ...

\*  
ღია ფანჯრიდან  
ცის კიდემდე  
ერთი ადღია,  
მერე ახლოს  
არის სამოთხე.  
ჩიტებიც,  
ასე დილაადრიან,  
მზით თუ გამოთვრენ —  
რამდენ ენაზე  
ჭიკჭიკებენ  
და  
არ მინდობენ...  
ან კესანები  
ასე მალლა,  
ცის მინდორზე  
როგორ აყვავდნენ?...  
რა მესაქმება  
მინაზე ახლა —  
შენ რომ  
არ მყავდე...

\*  
ასეთი არ უნდა ყოფილიყო სიყვარული,  
მაგრამ ასე მოხდა —  
მე აღარ მქვია შენით სავსე.  
მე ახლა უკარ-უფანჯრო სახლი ვარ,  
რომელშიც ქარები გაივლიან და გამოივლიან  
და ფეხს ველარსად იკიდებენ.  
მე ახლა უკარ-უფანჯრო სახლი ვარ,  
რომელსაც მგზავრები თავს წვიმაში თუ შეაფარებენ  
და გამოდარებისას გულგრილად ტოვებენ,  
მადლიერების გარეშე,  
ვერავის დაიფარავს ამ სახლის ქერი,  
ვერავის გაათბობს ამ სახლის კედლები.  
დაცხრილული უნდობლობისგან.  
დაცხრილული ეჭვისგან.  
დაცხრილული უმადურობისგან.  
ყველა ნახვრეტიდან ჟანგისფერი სიბლანტე მოჟონავს —  
თურმე, ასე იცლებიან სახლები სულისგან...  
ოდესმე მოგიწევს — ჩაუვლი და სული წაგძლევს,  
რომ შეიხედო.  
ოდესმე შეიხედავ და სული წაგძლევს, რომ დაუძახო.  
აკრძალული იქნება ამ სახლის დაძახება და  
ჩაღწეული ფანჯრებში ახარხარდება  
ამოუთქმელი სახლის ექო.  
ხავსის იქნება კედელი,  
მისაყრდნობად რომ გეგულუბოდა,  
ჩამოიშლება ხავსი და  
ხავსსაც ვერ მოეჭიდები.  
ასეთი არ უნდა ყოფილიყო სიყვარული.  
ასე ჟანგისფერი.  
სანამ ერთი წვეთი იყავი, არ მეშინოდა.  
ისე გაბეგრდი და დაგუბდი,  
დამახრჩობდი,  
რომ არ ამომერწყე —  
სულიც ამოგაყოლე...  
ასე მოხდა —  
მე აღარ მქვია შენით სავსე.  
ასეთ დროს ალბათ, ეს არის შვება —  
სიცარიელე...

\*  
მთელი ცხოვრება ასეა —  
ერთი ნაბიჯით წინ უსწრებ საკუთარ თავს,  
ცელქი ბავშვივით...  
ის კი მოგყვება თავჩაღუნული  
და შენს ნაკვალევს  
სინანულით ათვალეირებს...

ბოლო პარათი

ხედავ? შევწყვიტე გულუბრყვილო დავა სიზმრებთან,  
მშრალი სიცხადით იწერება ჩემი წერილი,  
არ დამაბრალო დღეს ამბების დრამატიზება,  
ეს მონოლოგიც, მოსაწყენი და განულილი  
იქნება ბოლო, და ყველაზე გულწრფელიც, ალბათ,  
არავითარი აჩვილება, თავის მართლება...

ცივია სიტყვა, თუმცა, ცრემლში მრავალჯერ დაღბა,  
რაც იყინება, ის ხომ მერე დიდხანს არ თბება...  
და როცა ცრემლი, ბოლომდე რომ დღემდე არ შრება,  
ჩამოიღვრება თვალებიდან და გულს მიჩვილებს,  
ვისხენებ, მაშინ — მე რომ შეველას ვითხოვდი შენგან,  
ჩემი დანგრევით თავი როგორ გადაირჩინე...  
ასეთ დროს ყელში მონოლილი ქვითინი მახრჩობს,  
თუმცა, აკრძალე რა ხანია, სენტიმენტები.  
მე მოვდიოდი, ვწრიალებდი შენს სულთან ახლოს,  
მისაკარებლად, შესახებად ვერ გიმეტებდი...  
ან ვერ ვხვდავდი ან არ ვთვლიდი საჭიროდ, სულაც,  
მნამდა, სინათლეს ტკივილი რომ წარმოშობს სწორედ...  
გხატავდი — ღმერთის ხატებას  
თუ ხორცშესხმულ სურათს,  
გწერდი — სიტყვები გულის კოვზზე ვზომე და ვწონე...  
შენ გაუცხოვდი... მინის შვილად იქეცი უცებ,  
შენ გაუცხოვდი... შეგეცვალა ხმაც და აქცენტიც,  
გამოებრე მინას, — შავი ვეშაპის მუცელს,  
და ვერ ხვდებოდი, დამნაშავედ როგორ მაქცევდი,  
როცა გეძებდი, გპოულობდი, ისევ კარგავდი,  
სულს გიხუთავდა ახლოს მოსვლის ყველა მცდელობა,  
ასეთ დროს, ვგრძნობდი, საკუთარ თავს ისე არ ჰგავდი,  
თითქოს სხვა ვინმე სასულეში გადაგცდენოდა...  
მერე თანდათან მოინდომა გაზრდა მანძილმა,  
მერე ნელ-ნელა დაეკარგა სიმართლეს წონა,  
უცნობმა ძალამ მინის მტვერში ისე ამზილა,  
ვერცერთი სიტყვა ვერ წარმოვთქვი

მკვეთრად და სწორად.  
საკუთარ თავთან დავიბენი და შევეკრთი მერე,  
ამოვსებული მქონდა პირი მტვრით და ტალახით,  
მერე ათასი სისულელე ვვლავებ და ვწერე,  
გამოვიყენე უღმერთობის ყველა ტალახტი.  
დღესაც არ ვიცი, რა სახელი ეწოდოს უნდა  
შეგრძნებას, შენს სულს ჩემთვის  
ასე ხილულს რომ ხდიდა,  
მე მხოლოდ მისი მოკამკამე ნათელი მსურდა,  
არავითარი სხვა ნაყოფი, აკრძალულ ხიდან...  
დღეს მძიმე ტვირთად მანევს მხრებზე ყველა ბრალდება,  
ხელებში შემრჩა საღებავებზემშრალი ფუნჯი,  
მაგრამ რაც სულში იბადება, თურმე, არ კვდება  
და ამოვსებულს, იდუმალი ამბებით, ხურჯინს  
დავათრევ. დამაქვს არეული დღეების განცდა,  
ორივეს ერთად დავატარებ — სასჯელს და შვებას,  
და ვხვდები, გულს რაც აალებულ ლექსებად დასცდა,  
არ მიდის არსად, მარადიულ ტკივილად რჩება...  
სხვა ყველაფერი იკარგება, გვალვებში ხმება...  
მეცნე, გაუვალ ლაბირინთებს თავი გავართვი,  
მე შენი გულის სინათლეს და ტკივილსაც ვხვდავ,  
ამ სინათლეში დაინერა ბოლო ბარათი...

\*  
წავიდა ჩემგან სიყვარული — ლურჯთვალა ღმერთი,  
და რა გიმდერო, რას დაგპირდე მე მის გარეშე?  
მანამდე, ვიდრე ცის სიღურჯე მეფინა ფერხითი,  
გულიდან, აბა, რანაირად უნდა გამეშვი...  
დღეს აქ ყველაფერს სხვა ფერი აქვს ან არც აქვს ფერი,  
დიდი ხანია, აღარ ჩანან ცაზე მერცხლებიც,  
მე როცა გეძებ, დაქანცული სიზმრებში ფრენით,  
მართლა მყავდი თუ გიგონებდი, უკვე ვერც ვხვდები.  
და მაინც, ზოგჯერ, ფეხქვეშ მინა როცა მყარდება,  
ისევ მტკივდები, ისევ გგრძნობ და ასე მგონია,  
თითქოს მიყვარდე ძველებურად, თითქოს მყავდე და  
უმისამართოდ ვაგრძელებდე ცაში ბორიალს.  
არაფერს ვნანობ, ოდესლაც ხომ გულით ვეცადე,  
რომ სტრიქონები ჰამაკივით ცაში გამება,  
შენ რომ იცოდე, რა ლამაზი ჩანდი ჩემს ცაზე,  
ამ სიცხადისთვის თავი მართლა დაგენანება...

\*  
მე ვთქვი:  
რომ შენზე ვერაფერს დავწერ,  
სისულელეა ასეთ დროს წერა...  
სანამ ამ სუნთქვის ტალღები მარწევს,  
სანამ მზის დაწნულ ჰამაკში ვწევარ...  
შენ თქვი:  
დრო სიტყვებს ვერასდროს ნაშლის,  
ვერდანერილებს, ვერთქმულებს, მწველებს...  
და გაჩერებულ ერთ უკვდავ ნამში  
თაკარა მზევით გადამწერე...  
გულზე...

\*  
გაზაფხული ყოველთვის ვილაცას მოჰყავს,  
შორიდან მოსულს.  
მზერიდან მზერაში,  
გულიდან გულში ჩადვრილი სითბო,  
როგორც ხეების ტანში ჩამდგარი წყალი —  
განახლების მაუნყებელი...  
მე არასდროს ვყოფილვარ მარტის გოგო.  
ეს შენ შეძელი —  
კალენდარულ გამარტებას  
რამდენიმე ნაბიჯით გამოასწარი,  
რომ სხეულზე გამოყრილი მარტის კვირტებით  
შეგვებიჯებინა  
გაზაფხულის აურზაურში...

\*  
გამოხუნებულ ჩითის კაბას ჰგავს  
სიმშვიდე,  
ახლა, ტანთ რომ მაცვია,  
ალბათ, ეს არის თავის დაკარგვა  
და უეცარი ტრანსფორმაცია...  
სადღა მაქვს ძალა, მოვყვე, რამდენი,  
იმფოთა სულმა, რას უგალობდა...  
მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ ყველაფერი  
გაფერმკრთალდა და გაუბრალოვდა...

\*  
ვერ დაგიტიე...  
იბობოქრეს ტალღებმა ავად,  
ისიც არ ვიცი, სად გაგრიყვს, რომელ ნაპირზე,  
დღეების ბასრი ნამსხვრევები მუჭებით დამაქვს,  
მარადისობის სამკაულად რომ ვერ ავიკიძე...  
ცა გაიბზარა,  
მერე ჩემში ჩამოიშალა  
და ახლა მლაშე სინანულით პირთამდე მავსებს,  
მე დამრჩა შენი გაფრენილი სულის ნიჟარა,  
ამოუთქმელი, ღვთაებრივი ბგერებით სავსე...  
როცა სიჩუმე  
ხარხარებს და ახლიდან ბადებს,  
შიშს, ნანგრევებში ოდესლაც რომ დაისადგურა,  
ყურს სულის ფსკერზე გადამალულ ნიჟარას ვადებ  
და ვისმენ შენი მოცახცახე სულის სამღურავს...  
მე გაოცებით,  
გარინდებით სავსე მწუხრი ვარ,  
და როცა მხედავ ასე დალილს და ასე მორჩილს,  
იქნებ, მიაბზო, სად გაგრიყა ტალღამ...  
უხილავ  
და მიუწვდომელ სამყაროში როგორ აღმოჩნდი...

\*  
შენთვის თითქმის არაფერი მითქვამს.  
მე მხოლოდ ბოდიშს ვიხდები  
მისი შეცდომების გამო.  
მაგრამ ეს ხშირად ხდებოდა —  
ბევრ შეცდომას უშვებდა  
სიყვარული...





სალმომე დამირეკა, ჭანტურიძემ, იტალიიდან, ჩემი მეგობარი მოფრინავს, გურიის მდინარეების მიხედვით სტატიის დანერგა უნდა საქართველოზე. ჯერ ვიფიქრე, მეზუმრებოდა. თავის დროზე რაღაც მსგავსი დოკუმენტური ფილმის გადაღებაზე ერთად ვიყავით (კინოსტუდია ხომლის მიერ გადაღებულ „არტერიას“ ვგულისხმობ, მდინარეების კალაპოტების მიხედვით საქართველოს კუთხეებს რომ გვაცნობდა), მერე (სულო ცოდვილო) ისიც ვიფიქრე, მგონი, ჭაუვიდან გადაცდა ნერვიულობით და რაღაც ერევა-მეთქი (საყდრისის გადარჩენის კომიტეტში იყო და ხელჩაქენულმა და იმედგაცრუებულმა იტალიას მიამშურა), მერე კარგად მოვუსმინე და დავთანხმდი. რატომაც არა, გურიის ნახვა სამხრეთ იტალიელთან ერთად დიდი სიამოვნება იქნებოდა.

ბრუნო გაზიანო ალბანელ დევნილს უფრო გავადა, ვიდრე ჩემ წარმოსახვაში არსებულ სიცილიელს, თუმცა სიცილიელი იყო. ისეთი პატარა ხელბარგით ჩამოვიდა. ჯერ მართლა დევნილი მეგონა, მერე გამეცინა, ტანად სახარებისეული ზაქესავით პატარა იყო და ალბათ ტანსაცმელიც ძალიან მცირე მოცულობას იჭერდა ჩანთაში.

საქმიანად ჩამომართვა ხელი და აეროპორტის გზაზევე თავი ვალდებულად მიიჩნია, კასტორიუსის რუკა Tabula Peutingeriana მანქანის ტორპედოზე გაეშალა. მდინარეებს თითი გააყოლა, მე თითს — გურ „მწვანე სანჯავში“ შევევადით.

„ამასთან არ მოვიწყენ!“ — გავიფიქრე და სიჩქარე დავაგდე, ისედაც რა მეჩქარებოდა? მე შენ გეტყვი, ყანა მქონდა ნატანებში გასამარგლი თუ რა?

ქართული კულაბიკობა ხომ იცით რაცაა, ჯერ კიდევ ცხონებული დიუმა წერდა, ქართველი თავადიო, უცნაური ვინმეაო, ანო დაიწყებს გაუთავებელ წუნწუნს, ქოხმახში ვცხოვრობ, ყველაზე გაჭირვებული ვარ ჩემ მხარეშიო, რიგითი აზნოური იშვილი ვარო და ეგეთებსო, მერე მიგიყვანს თავის მამულში და შეიძლება საშუალო სახლიც კი ვერსალზე დიდი და გრანდიოზული მოგეჩვენოსო. ანაცო, დაიწყებს ტრაბახს და ბაქიბუქს, მეო, სამეფო შტოს მეშვიდე განაყარი ვარო, ქონება მაქვს იმდენი, სად რა ნავილო, არ ვიციო. სახლები მაქვს ყველა მხარეში სამ-სამი და ხარძროხა კი მამაკაცის მარჯვენაზე დაფენილ ბალანზე მეტო. მიგიყვანს გადაბრეცილ ქოხმახში, გული შიშისგან გისკდება, თავზე არაფერი დამეცესო. მასპინძელი კი მხიარულობსო, ესო ჩემი ყველაზე საყვარელი სახლიაო, მეო, სიძველის მოყვარული კაცი ვარ და ამ ქოხმახში იმიტომაც მოგიყვანე, აქო ჩემი წინაპრების სული ტრიალებს, ასეთი უბრალონი ვიყავით ქართველებო. მერე დაგიკლავს ბოლო გატყავებულ ქათამს და წყალ-წყალა ღვინით სულს სანამ არ ამოგხდის, არ მოგეშვებაო.

მოკლედ, მე რაღაც შუალედური გადავწყვიტე, ბევრი არ მიტრაბახია და გურიის დათვალიერება ურეკით დავინწყე. რაც უნდა იყოს, ინფრასტრუქტურულად ყველაზე განვითარებული გურია სწორედ აქ იყო, ჩემ სტუმარს ბახმაროს მთები და სურბში ნამღერი კრიმანჭული რაში აინტერესებდა, იმ მდინარეებს კიდევ მოგროს-სა და ისისს (ISIS-ში არავის აგერიოთ, სუფსა და ნატანებია), რამენაირად ისედაც ვნახავდით.

ბრუნო დიდად არ აღგზნებულა და გადარეულა არც ტანსაცმლის საერთაშორისო მუზეუმით, არც ზღვაზე მოსიარულე პატარა ბიჭის ქანდაკებით და არც არგოს მაკეტით (ოქროს სანმისის წლის ფარგლებში, ურეკში არგოს ნავის მაკეტი იდგა, სადაც ფოტოს გადაღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო 5 ლარად. კიდევ 10 ლარად კი სულაც იაზონის ან მედეას ფორმას ითხოვებდი).

რეაბილიტირებული ურეკი ისე ჩავიარეთ, ერთი კმაყოფილი ამოკვცესა არ გამიგია. ორიოდე ფოტო გადავიღე, ისიც ალბათ სა-Twitter-ოდ ან სა-Facebook-check-in-ოდ და ეგ იყო და ეგ. კი მიხდოდა, რამე მწარე მეთქვა, მაგალითად, ფლორენციაზე, მაგრამ ჯერ რა ნამუსით უნდა მეთქვა და მერეც, ეს ჩვენი „დეკავატი“ სიცილიელი იყო.

დაახლოებით ორმოცი წუთი ვიხეტიანეთ ურეკის სანაპიროზე. აქედან ათი

წუთი ჭუნირის დამკვრელ მეზღვაურის მაისურთან გურულ მსცოვან კაცს ვუსმინეთ (ხელზე დიდი ასობით ეწერა Hellados. თავის დროზე, დუმბადის ნაწარმოებების უზარმაზარი პოპულარობა აქაც ჩანდა, ათასობით ახალგაზრდა ქურდული „ნაკოლკის“ ნაცვლად ჰელადოსს იწერდა მაჯაზე). რაღაცნაირი, ნამდვილი გაქალაქებული გურული იყო. ოდნავ წაწვეტილებული პირისსახით და მკვირცხლი თვალებით. ქალაქის ფული ჩაფუტე ყუთში და თანამგზავრს გალიზიანებული შევუბრუნდი:

— კონკრეტულად რას ეძებთ, თუ მეტყვით, შემოდია, უკეთ დავგვამოთ ჩვენი დღე! — ჩემი სიმაღლე დროულად გამოვიყენე და თავზე როდოსის კოლოსივით ამაყად დავაცქერდი.

— ხალხი! — თქვა თავისი დონ პასკუალეს ხმით და იტალიელებისათვის დამახასიათებელი შეტყუებული ხუთივე თითი (ვედრების ფორმით) წვერით ზეცისკენ ლამის ცხვირთან მომიტანა, ხალხი!

## გურამ მეგრელიშვილი ალტერნატიული საქართველოს აზვები TABULA PEUTINGERIANA



„ხალხი“ ნიშნავდა მანქანის მუზეუმის უფასო ავტოსადგომზე გაჩერებას, ავტობუსით ჩოხატაურისკენ ნასვლას და გურული გლეხების ოჯახებში სისოა და არჩიას თოფით დაუნდობელი ორნახადის ყლურწვას, თუმცა, იტალიელ კარამ გაბერს (Karam Gaber) ეს ყველაფერი ძალიან მოწონდა.

გურიის ნახვა თუ გინდა ადამიანს, ნამდვილი გურიის, რა თქმა უნდა, ჩოხატაურიდან უნდა დაიწყო, თორემ პირდაპირ ოზურგეთი და ლანჩხუთი თუ ნახე, ან გემწარება ან გეტკბილება გურული ენაც და იუმორიც.

გურულები რომ სრულიად განსაკუთრებული ხალხია, ამას მეგრელებიც კი მოწმობენ (ცნობილია ამ ორ მხარეს შორის არსებული ფარული ქიშპობა). პირველად სახელწოდება გურია მურვან ყრუს შემოსევების დროს ჩნდება წყაროებში. არ ვიცი, რას ნიშნავს ეს ტოპონიმიკა (მეგრელები ამბობენ „გურ“ „გულს“ ნიშნავს და ესეც ცხადყოფს, რომ ეგ ტერიტორია სამეგრელო იყო თავის დროზეო), მაგრამ არის ვერსია, რომ ურარტუს წყაროებში მოხსენიებული კურიანთა ქვეყანა გურიას აღნიშნავს (სხვა ვარაუდით, სახელი „გურარე“-დან მომდინარეობს გურ-მზე. ია, ანუ უა=შვილი), მე კი ვახუმტი ბაგრატიონის ვერსია ყველაზე მართებული მგონია (აქ „გურიანი“ ანუ ფიცხი და ადვილად ფეთქებადი ხალხი ცხოვრობსო რომ ამტკიცებდა). ზღვიდან მონაბერი ზედმეტი იოდი აქაურების გადამეტებული სიფიცხის და გონებრივი იმპერვიცილის პირველწყაროა (იგივე იოდის, ოდონდ, ნაკლებობა, საქართველოს სულ სხვა რეგიონში სხვანაირად აისახება, მაგალითად, სვანეთში, სადაც ტექნიკური მეცნიერებებისკენ მიდრეკილება ყველაზე მეტად ვლინდება).

თავად გურულებს კი განსაკუთრებით მოწონს ლეგენდა ინდოეთის მეფე შედათზე, რომელმაც ვითომდა ედემის ბალ-

ის გაშენება მოინდომა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან „გურიების“, ანუ ლამაზების შეკრება ბრძანა. მოძებნეს აზიელი, აფრიკელი, მაშინდელი ევროპის ტერიტორიიდან საუკეთესო ქალ-ვაჟები და გადენეს ინდოეთისკენ. ამასობაში ეს ჩვენი ედემისკენ მიდრეკილი მეფე შედათი ჩაბარდა პატრონს და ქარავანმა მიიხედა-მოიხედა, ამაზე კაი ადგილას სადღა მივდივართო და დასახლდა. და დაერქვა გურიას გურია.

ლეგენდა კაია, გურულები მართლა ლამაზი და მოხდენილი ხალხია, მაგრამ ამის მიზეზი (ზოგადად დასავლეთ საქართველოს გენოფონდზე შეიძლება იგივე ითქვას) უფრო სხვა რამე მგონია. როცა აღმოსავლეთ საქართველოში დიდი ხმლის ქნევა მიდიოდა ხოლმე, დასავლეთში მე-16 საუკუნიდან ძალიან მავნე და გადაამაჯიშებელი ზნე (ტყვეების სყიდვა) დამკვიდრდა. ტყვე კი უშნო და გონჯი არავის ჭირდებოდა, გადმოიპარებოდნენ ხოლმე იმერლები, გურულები და

გაგრძელებული (აქ იმ უზარმაზარი შავი ქვის სანახავად მივიყვანე, გირჩი-პოეტის საფლავს რომ ედო გულზე და სასაცილო ისტორია რომ ჰქონდა: პოეტის დიდ ამადარს გრივერ ფარულავას ქართლის რომელიღაც სოფლის მდინარეში დიდი ქვა დაუნახავს, ეს ქვა გრიშას საფლავზე უნდა იდოსო, უთქვამს და ჩასულა დასაჭიდებლად. ნუ, ქვა იყო სადღაც ტონა-ტონანახევარი, გრივერის აღნაგობის კაცს ცოტა გაჭირვებია ანევა და რომელიღაც ადგილობრივი ნამუსმა შეაწუხა თურმე. ეგ გრიშა დიდი ვინმე იქნებოდაო, უთქვამს და პირობა დაუდია, გურიში ჩემი ხარჯით ჩამოვიტან ამ ქვასო. ჩამოიტანა. სუფრაც ქნეს და მტევანდიდის ყურძნის ღვინოც დალიეს), ჩაისუნის ბაზიერების ოჯახში სტუმრობით დასრულებული.

მოვასწარით კაბისტონის, უფრო სწორი იქნება, ნაუკაბისტონის გასინჯვა, გურული ჩაის დაგემოვნება და სუფსაში პატარა გახვანჩალებაც კი.

სტუმარს საინფორმაციო ცენტრში

ნაყიდი გურიის რუკა ვანახე და ავუსხენი, რომ ხვალ გზა მაღალმთიანი გურიისკენ გვექნებოდა. თითი დავაჭირე რუკას და ეს სოფელი-მეთქი, ვუსხნიდი ჩემებურად, დაახლოებით იგივეა გურიისთვის, რაც იტალიელებისთვის სტოკარედო. თუ გინდა, ნამდვილი გურია შეიგრძნო, უნდა მოხვდე სურებში.

რომ ვთქვა, ყალბად მაინც აღფრთოვანდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. შემომხედა, ისე როგორც დაბალი კაცი უყურებს მაღალს, თავისი მოკლე შუა თითი დააჭირა რუკის სულ სხვა მხარეს და შეუფერებელი ბარიტონით თქვა: აქ გაჭირდეთ, ღამე ზღვის ხმაური რომ მესმის, უკეთესად მიძინავს!

ის ღამე ოზურგეთში, ტუნაძეების საოჯახო სასტუმროში გვეძინა. პრინციპში, მეძინა მე, ბრუნო აღგზნებული სახით, თვალებდაჭყეტელი მასპინძლის ზღაპრებს ისმენდა, რომო, ჩემი გვარო, 1444 წლიდან მოდისო, როცაო, რომო, ბურგუნდელელების ფლოტი ყოფრუა დე ტუაზის ხელმძღვანელობით თავს დაესხა ბათომს, მაგრამ თავადმა გურიელმა, ვისი ნათლულიც იყო ჩემი დიდი, დიდი, დიდი, დიდი, დიდი ბებია, მომხდური დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო. მერეო, ყოფრუას ჩემი დიდი წინაპარი ბებო შეუყვარდაო, ცოტა კი რცხვენოდა, მაგრამ ისევე ხართ ეს ბურგუნდიელებო, დარჩი ჩვენ მხარეში და მოგათხოვებოთ გოგოსო.

დასუგამს წვერზე ხელი გურიელს, შეუხედავს თავისი ჭროლა თვალებით და დიდი მაიმუნი ვინმე ხართ ეს ბურგუნდიელებო, დარჩი ჩვენ მხარეში და მოგათხოვებოთ გოგოსო.

დარჩენით ისედაც კი რჩებოდა ყოფრუა დე ტუაზი, ვინ იყო მისი გამომსყიდველი — მოუხვევია ყაბალახი, მონათლულა ქართული წესით და დარჩენილა და დარჩენილა. ე, იქიდან მოდის ჩემი გვარიცო.

მეგრელები ქართლ-კახეთისკენ და მიაცუნცუნებდნენ საუკეთესო ნარჩე ქალ-ვაჟებს ოსმალეთისკენ (აბა, ნახეთ თანამედროვე სტამბულში რა ახალგაზრდობა დადის), ირანისკენ და ათასი ჯანდაბისკენ. დასავლეთმა ქართული ეროვნული გენოფონდი (შესაბამისად ფენოტიპიც) ამიტომ შეინახა უფრო მეტად და გურულების სილამაზე შედათებს და რაჯკაპურებს კი არა, ქართულ გენეტიკას უნდა მივაწეროთ.

ჰოდა, ჩავედი ჩოხატაურში. რაიონულ ცენტრში კინაღამ „Man“-ის ორხიდიანმა სატივრომ გადაუარა გაზიანოს (ისე, გურიაში ჩასვლაც კი სხვანაირად ამუშავებს ტვინს, წამის მესალეში წარმოვადგინე საგაზეთო Headline ადგილობრივ „გურულ უწყებებში“ — ჩოხატაურის ცენტრში ბეტონშიზიმა (არადა, სულაც არ იყო ბეტონშიზი) სტუმარი მოგვიკლა. Raiuno ამ ამბავზე თავს არ შეინუხებდა, მაგრამ რომელიმე სიცილიური სოფლის ინტერნეტტელევიზია გააშუქებდა გადასვენების პროცესს. მე სალომე მისაყვედურებდა, ერთ იტალიელს ვერ განდობს ქალიო და საბოლოოდ, ორთვიანი უძილობა დამემართებოდა გვამის დანახვაზე). საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მძღოლმა ხელი დაგვიქნია და გზა დაგვიტომა. კოხტა გოგო იყო, იქნებ გურულიც.

სიმართლე ვთქვა, მქონდა ცდუნება, გურულების ტრადიცია არ დამერღვია და სტუმარი რომელიმე სახლ-მუზეუმთან მეყვირებინა — მასპინძელიო, მაგრამ მივხედი, ამ ხუმრობას მუღამი არ ექნებოდა, ვერც მიხვდებოდა ეს ჩვენი ატაკამის გოლიათი და ასე გათამაშებას ფასიც ეკარგებოდა.

გოგოლეს უბანში ადგილობრივი გიდი ავიყვანეთ და რაიონის ღირშესანიშნაობები დალაშქრებდნენ გევანახა. დანყებული პანტომიმის ახალგაზრდული თეატრით, გრიგოლ მეგრელიშვილის საფლავით

მსგავსი ზღაპრები კი მქონდა მანამდეც მოსმენილი უღენტებზე, გალოგრებზე, გოთუებზე, გოიებზე და სხვებზე, მაგრამ ასეთი დახვეწილი ძილისპირული არც გამეგო.

დილითვე აბარებდა და გამგზავრება არ გამოვიდა. ჯერ ფირალეების ძეგლები ვანახე ოზურგეთში. ცოტა კი გაუკვირდა — არ მეგონა, დამნაშავეების შეროიზაცია ჩვენ გარდა სხვასაც თუ შეეძლო. მთლად დამნაშავესაც ვერ უნოდებ, ვცადე დაცვა, ეს ხალხი ფირალეები მას შემდეგ გახდნენ, რაც ჯერ მეფის ჯარი, მერე კი ნიოთელი ჯარი გურიაში ძალადობით შევიდამეთქი. მაგალითად, ეს კაცი, ნიკოლოზ მეხუზლა (ბაილეთიდან) არაჩვეულებრივად მღეროდა კრიმინალულს, სისონა დარჩია (ჯუმათიდან) ფარცაკუკუს ყველაზე გამორჩეულად ცეკვავდა, დათულია სურგულაძე (მაკვანეთიდან) საოპერო მომღერალი იყო, ტენიორი, და არაერთი მონვევა ჰქონდა იტალიიდან, მაგრამ ხელში თოფი აიღო და დაუშინა ქვეყნის მტრებს-მეთქი, გავაბუქე და გავაბუქე. გოგია ლომჯარია (ნიოთელიდან) ვითომ მხატვარი ყოფილა, ერთ დღეს რომ ისროდა, მეორედ დღეს ხატავდა და ბოლოს თავდამსხმელებს ფუნჯი მიუშვია-მეთქი. დათა მიქელაიშვილი (მელექედურიდან) უბრალოდ პატიოსანი კაცი იყო, არც ხატავდა, არც მღეროდა, არც სვამდა, არც ენოდა და საერთოდ, თავისთვის მშვიდი ცხოვრება უნდოდა, მაგრამ არ დააცალეს და რა ექნა-მეთქი?

მოკლედ, ფირალეებმა მაგრად მოხიბლეს. მივხვდი, დროზე უნდა გამეცლია იქაურობისთვის, თორემ ცოტაც და თვითონაც დაიწყებდა სროლას. უღმერთოდ ცხელოდა, არადა, თითქოს, ოზურგეთში ყველაზე ზომიერი ჰავაა გურიის მთელ დაბალმთიანეთში და წარმოვიდგინე, სხვაგან რა ხვატი იქნებოდა. ფილიმონ ქორიძის სახელობის ღია ამფითეატრში დოლიძის ოპერიდან არიებს მღეროდნენ, რეპეტიცია იყო. იქვე კაფეში ლალიძის ნყალი დავლიეთ და ფილიმონზე მოვუყვიე სტუმარს. მივხვდი, რომ ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა მასზე. სამჯერ მკითხა, მართლა ჰქონდა ლა სკალადან მოწვევა? მეთქი — მეთქი, სოლისტი იყო, მაგრამ მიატოვა ყველაფერი და ქართული გალობა ნოტებზე გადაიტანა.

გმირობის მაგალითებს ხომ სამშობლო არ აქვთ, ამიტომ სიცილიელ და კოსტარიკელ კაცს ერთნაირად შეიძლება აუწყლიანდეთ თვალები.

სალამოს პრეზიდენტი ჩამოდის მშობლიურ მხარეში და კონცერტისთვის ვემზადებითო, მიპასუხა მიმტანმა, როცა ვკითხე, ვინ აიძულებს ამ საწყლებს თაკარა მზეზე სიმღერა-მეთქი.

პოეტი გიორგი კეკელიძე იმ წელს აირჩიეს. გურულებს შევარდნაძის მერე ასეთი სწრაფი და წარმატებული კარიერული აღმასვლა არ ჰქონიათ. მწერლებს ყველაზე მეტად გაგვიხარდა, ხუთი პრეზიდენტიდან ორი ლიტერატორი იყო. იქნებ ეს ტრადიცია, ამერიკელებს რომ აქვთ, საკუთარი პრეზიდენტებით ამაყოფა, როდესმე ჩვენთანაც დამკვიდრდეს? ჩვენთან ლამის ყველა პრეზიდენტის კარიერის დასასრული სიძულვილი და ლაფის სროლა იყო. საქართველომ ინვალა, ინვალა და „უგვირგვინო მეფე პოეტიდან“ პოეტ-პრეზიდენტამდე მაინც მივიდა. გურულები, თავისი ენაწყლიანობით, ამ სასიხარულო ამბავსაც ამასხრებდნენ, როცა წინასაარჩევნო მართონი იყო (სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მეორე კანდიდატისგან განსხვავებით, კეკელიძეს ფული საერთოდ არ დაუხარჯავს), „რავა, ლექსად უნდა წავიკითხოთ კონსტიტუცია, თუ რაიაო?“

სალამოს ისევ ჩოხატაურისკენ, სურებში უნდა წავსულიყავით. ბოლო ავტობუსი კაი ხნის გასული იყო, ამიტომ გზაზე გამოვდექით და ცერა თითები აღვმართეთ სინქრონულად.

თანხვედრი მოგზაურობა საქართველოში პოპულარული ვერ გახდა. ამის მიზეზი უფრო ის მგონია, რომ ყველას მანქანა ჰყავს, ტურისტები კი ამ სერვისით იშვიათად სარგებლობენ. მითუმეტეს უნდა გაგიმართლოს, ოზურგეთიდან სურებში რომ გამვლელს გაჰყვებ. მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა და ორხიდიანმა მანქანამ გაგვიჩერა. ასულები არ ვიყავით, რომ ის



გოგო ვიცანი, ჩოხატაურის ცენტრში ლამის რომ გადავწყვიტა.

აქეთური-იქეთური და გავიცანით ერთმანეთი. იტალიური იცოდა, მაგისტრატურა იტალიაში დავამთავრე. მერე საქართველოში დავბრუნდი და ამაზე ვმუშაობო, „ეს“ კი აბრეშუმის გადასატანი მანქანა იყო. კი მივხვდი, რა მაგისტრატურაც დაამთავრა იტალიაში, ასეთ მაგისტრატურებს ამთავრებდნენ ჩვენი ქალები მთელი 30 წელი — სხვისი მოხუცებისა და ჩვილების მოვლა, სახლების დალაგება. ჭკვიანი გოგო იყო, მიხვდა, კაი ტრაბახა ვინმე ვიყავი და თამასა არ დააგდო. ბრუნო თვალეზაძეც იყო უყურებდა, სატვირთოზე თუ იტალიაში მაგისტრატურად ამთავრებულები მუშაობენ, აბა, სახელმწიფო კანცელარიაში ეყოლებათ ამათ თუ ეყოლებათო.

ორი სიტყვა ამ აბრეშუმის წარმოებაზეც უნდა ითქვას. ჯიმშერა ჩხაიძემ დაიწყო და აყენენ მერე სხვებიც. 11 მილიონი თუთის ხე ჩამოიტანეს უცხოეთიდან და სადაც კი უსაქმური ქართველი გლეხი ნახეს, დაურგეს ეზოში, მისცეს მერე აბრეშუმის გადარჩენილი და გამრავლებული ქართული ჭიის ჭურბლები და პროდუქციის შესყიდვასაც შეპირდნენ. იმდენი თუთა მოდიოდა წლის განმავლობაში, ხილი ხომ ხილად იყო იაფი (მგონი, გოაში არ ღირდა ისე იაფი ბანანი, როგორც გურიაში თუთა), არაყი ხომ არყად იხდებოდა და ტანსაცმელი გვეცვა აბრეშუმის. ჩხაიძე ძმებმა ღვინით დაიწყეს. ჯიმშერას ყველაზე კარგი კონიაკი ქონდა წლების მანძილზე, მე მომწონდა, ყოველ შემთხვევაში. მახსოვს, სომხეთში 100 წლიანი არარატი მოგვიტანეს სტუმრებს (ერთი ოცდაათი წელი იმათ მოუმატეს, ერთ მაგდენსაც მე გატყუებთ და 40 წლის ნაღდად იყო) და ნავიდა ტრახახი. მაშინ ჩანთიდან „ასკანელის“ VSOP დავადრე და მოდი, დავდგეთ, ოღონდ ახლო მანძილზე, ერთი ბოთლი მაქვს-მეთქი. რა თქმა უნდა, დუხხეც დავაგდე და კონიაკიც მომყვა. იმ

ლამეს ყველა რუსის გოგო ჩემი ნომრისკენ ინეწდა, მარა, მეთქი ნურას უკაცრავად, სომხური ხაშის საჭმელად წავედი ერევნელი ქართველების ოჯახში. ჰოდა, ამ ჯიმშერამ მოიფიქრა რა, დაასაქმა მგონი 200 000 კაცი და დედა უტირა ჩინურ ნაგავს. ისეთი ხარისხის პერანგებს აცმევდნენ სამხედრო ოფიცრებს, წვრთნების დროს გამოიდარებდა ხოლმე, ცოდოა ტანსაცმლის დასვრაო, ბუნება ფიქრობდა.

ჰოდა, ამ გოგომ, ვარა ცეცხლაძემ, მაგარი გაგვისწორა. სურებელი ბაბუა მყავსო, სალამოს ჩემთან გადმოდიოდა და გინდა, აქაურ თუთუნს და გინდა, კიდეც მეტსაც მოგანევიანებო. ბრუნო მაგარი ააგდო. უფუფუნა თვალები ორი თავის სიმადლე გურულ გოგოს და პირი არ გაუჩერებია. სურებში ღამე ავედი. ასეთი გემრიელი სოფელი ბევრი არ გვაქვს ქართველებს. ნაღდი გურულებიც აქ ცხოვრობენ თითქოს. სრულიად განსხვავებულები, დინჯები არიან, მაგრამ ისეთი სისწრაფით ლაპარაკობენ, თუ არ ჩაინერე და შენელებულად არ მოუსმინე, ვერაფერს გაიგებ.

ბრუნო იმავე ღამეს მოკლეს, ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით. ისე, მართლა მკვდარივით კი იდო აივანზე გაშლილ ხის ტახტზე. მასპინძლის შვილიშვილს იქაური პლანი მოუწევინებია, მე კიდეც აქედან გურული ცეცხლა არაყი ვაძალე. რო გადაპრინა თვალები და ამოტრიალდა მდულარეში ჩაგდებული ღორჯოსავით, მივხვდი, რომ ვერ იყო საქმე მთლად კარგად. ჩემ მეტს არავის უნერვიულია. ეგეთები გვინახავსო, მამშვიდებდნენ და მამშვიდებდნენ, ძირითადად, ისევ არყით. ბოლოს მეც მიმასვენეს გაზიანოს გვერდით და გამთენიისას Guetta-ს ხმამაღლამა მუსიკამ ორივენი აღგვადგინა მკვდრეთით და სანამ მოციქულ თომასავით ხელით არ შევებე, ვერ დავიჯერე ცოცხალი რომ იყო ის, ან — მე.

შუადღეს, ნაბახუსევს რომ ვშველოდით, ერთი პირობა ეჭვით გავხედე გაზიანოს — სამი დღე იყო, ერთად დავხე-

ტილობდით და მისი ჩანერილი სიტყვა არ მინახავს, მგონი, აფერისტი იყო ვიღაც და არავითარ დისერტაციას არ წერდა. მე ხომ მაგნიტივით ვიკრავ ასეთებს, გამეცინა გულში და სალომე ერთი კარგად მოვიკითხე.

მასპინძელმა, ტრაპაიძის კაცმა დილის მადლის დაღვევისას მორიდებულად მკითხა, აი კაძახი რაცხას ბუფუტურობდა ლომისკარელის ხატზე და კითხე ერთი კარქადო. ვკითხე. ბრუნო გაზიანომ მთელი სერიოზულობით თქვა, ეგეთი ხატიო (მასპინძელს გურიის მთავარი სინმინდისა და სიამაყის, ლომისკარელის ხატის რეპროდუქცია ეკიდა ოთახში, რომელიც, მგონი, 2 საუკუნის წინ სურების წმინდა გიორგის ტაძრიდან მოიპარეს), ბიძაჩემს აქვს სახლშიო. კოლექციონერი არის და რუსეთში ცხოვრებისას (ანდროპოვის დროს უცხოვრია) „ბარახალკაზე“ იყიდაო. აღელდა ჩვენი დინჯი მასპინძელი, ე ბიჯო, კითხე, რა ვიღონოთ ამ ხატის დასაბრუნებლად, მოპარვას ვერ ვიკადრებთ, ყიდვა არ შეგვიძლია, თხოვება არ ივარგებს და სხვა რა გზა უნდა იყოსო? ერთი ხანობა კი ვიფიქრე, ვეტყვი რა აფერისტიცაა ეს ბრუნო, არანაირი ხატი არ ექნება ბიძამისს, ბუფუტურობს რაღაცას ნაგურულარე-ალზე-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. იმედი რაღაზე მომეკლა ამ პატიოსანი მასპინძლისთვის და ვუთარგმნე იტალიელის ნათქვამი — „ის თქვენი გაზიანი წყაროს წყალი (იგულისხმება „ბორჯომი“) დამალევენით“. მერე გაზიანო საჯარო ფიცით დაგვიპირდა, ჩავალ იტალიაში და რამეს მოგიხერხებთ, ჩვენებურად, სიცილიურადო.

გურულ გლეხზე გულუბრყვილო მხოლოდ გურული გლეხია ალბათ, ამიტომაც იცხოვრეს ათეული წელი ყველაზე ღარიბად მთელი საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით. დაიჯერეს. მოაყარეს და მოაყარეს სუფრას ახალი კერძები თუ შუშხუნა ღვინო და ძლივს დავაღწიეთ თავი.

ოზურგეთის ავტობუსმა იქიდანაც გამოგვასწრო. ან უნდა დავრჩენილიყავით, ან ისევ თანმხვედრის ლოდინი დავგეწყო. ვარა მოვიკითხე, იქნებ ისევ უკან გავყვეთ-მეთქი. კაბინაში ადგილი აღარ ჰქონდა და ოზურგეთამდე ძარაზე შემომსხდრებმა ვიმგზავრეთ.

იმ დროს მივადექით რაიონულ ცენტრს, ნაპრეზიდენტალი მოედანის დალაგება რომ მიმდინარეობდა. კაი გვარიანად ვიყავი დალილი, აი, გამოთქმა რომაა ქართულად — „ფეხები ტრაკში მაქვსო“, ეგრე. ლანჩხუთი, ინოვაციური ტექნოლოგიური მიღწევების ცენტრი, დაკიდებული საფეხბურთო მოედანი, სუფსაზე მცურავი უნივერსიტეტის, მომავლის მუზეუმისა და 100 მეტრიანი სურათის ჩარჩო-გადმოსახედი რომ მახსენდებოდა, გული კვნესისმავგარი ხმებით მეცხებოდა. და მაინც ვკითხე სტუმარს, როგორც ქართული მეტიჩრული ადათ-წესი მოითხოვდა, ლანჩხუთიც ხომ არ გვენახა-მეთქი?

არ ვიცი, რა მოაწვეინეს ან დააღვეინეს ბრუნო გაზიანოს სურებში, მაგრამ სრულიად გურული ინტონაციით კი მიპასუხა: გუჭულიე, ძამა?





მეფე მოკვდა! გაუმარჯოს დედოფალს — მე

შენ მზე ხარ, — ასე სცადა ერთ დღესაც ჩემი გაღვიძება მეგობარმა, შიმშილისაგან გონდაკარგულს, თავს რომ დამადგა. შენ მზე ხარ, მიდი, გაიღვიძე, გესმის ჩემი? ეს ნაბიჯი კიდევე ერთხელ, კიდევე ბევრჯერ უნდა გადადგა. უნდა გათენდეს, სხვა გზა არა გაქვს, არჩევანი არ დაგრჩენია. გავიღვიძე. ჰოდა, ეს მე ვარ — მზე ვარ, ვნევიარ ჩუმად ჩემს ოთახში, მღვიძავს ფართოდ თვალებგახელილს, და ვფიქრობ, ვგავარ ცოდვას უკვე ბევრჯერ გამხელილს, რომელიც სჯობდა. და ვფიქრობ, მოდიო, რა იქნება, მოდიო, გამკიცხეთ, მინდა, რომ დავტკებ, გავხდე სხვა მზე, მზე, რომელიც არ დაინდეს, არც გაუგეს, არც შეიბრალებს, არც შეიყვარეს. მზე, რომელიც უბრალოდ იყო. მათ კი გაკიცხეს. მე ვნევიარ, მღვიძავს თვალებდახუჭულს, დახუჭობანას თამაშობენ ჩემს ბავშვობაში, ჩემს ოთახში მოგონებები სიყვარულზე, სიძულვილზე, სიკვდილსა და დაბადებაზე. მოგონებები ომზე, რომელიც იყო, არის. ჩემს პირად ომზე, სხვის პირად ომზე, სამყაროს ომზე, ომზე, რომელსაც მინდა, რომ ვგმობდე, და სულ პირიქით, სულ პირიქით გამომდის მუდამ, ხელალმართული, გაბრაზებული, ცრემლმორეული, დაუნდობელი, გულნატკენი... მიჩვეული, მე ვაცხადებ, მე თავად ვიღებ ხელში დროშას და ვაცხადებ ომის შესახებ. და ვინცებ ბრძოლას იმედებთან, მშვიდობასთან თუ სიმშვიდესთან, შიშთან, რომელიც მძევლად აყვანილს მანამდე დაჩოქებამდე, ლალატთან ჩემი სარდლების თუ ჯარისკაცების, სიკვდილთან, ჩემი ქალაქის სულ უმთავრეს ციხესიმაგრეს ხელაღებით რომ გამოაცალა საყრდენი ღერძი — მამაჩემი, ვებრძვი შეძახილს, რომ მეფე მოკვდა და გაუმარჯოს, გამიმარჯოს დედოფალს — მე, აბა მე ვიცი. და რა გემო აქვს ამ გამარჯვებას, ესეც მე მკითხეთ. გამარჯვებასაც ისევე ვებრძვი, როგორც სასტიკ მარცხს საკუთარ თავთან, სხვებთან, სხვების მარცხს ჩემთან, სხვების — სხვებთან, და კიდევე როგორც შეიძლება იყოს და მოხდეს. ვებრძვი სიყვარულს, რომელზეც ხშირად საუბარიც აღარ მინდება. და ნულარ მკითხავთ, რატომ, როგორ, რანაირად შეიძლება ეს მომხდარიყო, რომ მეცხოვრა, მყვარებოდა და იმავე წამს არ მყვარებოდა. ვყვარებოდი და იმავე წამს არ ვყვარებოდი. უბრალოდ მოხდა. ხდება ყველგან, ყოველ წუთსა ყოველ კუთხე-კუნჭულში ხდება. და ჩემს სხეულსაც თითქოს ერთ დღეს გადაუარა დაუდგენელი განედიდან მოვარდნილი ქარიშხლის ძლიერმა ტალღამ და მიყურდა, დადუმდა და გაუჩინარდა. და მერე მოხდა ის, რითაც მე თხრობა დავინწყე, შენ მზე ხარ, — ასე სცადა ერთ დღეს ჩემი გაღვიძება მეგობარმა, შიმშილისაგან გონდაკარგულს, თავს რომ დამადგა. ჰოდა, მე მზე ვარ, იმ წუთიდან, როცა ამის გულით ვირწმუნე. მზე ვარ ომების (ღმერთს არ ვახსენებ), სხვა გზა მაინც არ დამრჩენია, ეს გზა მე თავად ავირჩიე, სადაც მიმიყვანს, მიმიყვანს ალბათ. ჰო, მეფე მოკვდა, გაუმარჯოს დედოფალს — მე, დედოფალს — მზეს, აბა მე ვიცი.

ნარინჯისფერი ლამეები

ეს მე ვარ — თოვლი, შენი ნარინჯისფერი ლამეებიდან გამოდევნილი ფერფლი ვარ მხოლოდ, ნუ გეშინია, ნუ მდევნი და ნუ შემიძულე, ნუ თრთი უმწეოდ ჩემს დანახვაზე, ფერფლი ვარ მხოლოდ. მე ვარ შენი შორსნასული სიყვარული, ახლოსმყოფიც მე ვარ იცოდე. მე ვარ მეფე — მამაშენი,



გვანცა ჯობავა

ნარინჯისფერ ლამეებს რომ შენთან ატარებს, თავთან გიზის, გელერსება. გამთენიას კი გტოვებს ისევე ფერფლადქცეული და მიაქვს დარდი ნარინჯისფერ გარდასახვებზე, ყოველ ღამით შენ რომ განამებს. შენი დარდიც მიაქვს უჩუმრად, მიაქვს, ისეთი ერთგულებით, თითქოს მუდამდღე მოგიხგინებ, მოთუხთუხე შეშის ღუმელს გამთენიას გალუღი ნაკვერჩხლებისგან დარჩენილი ნაცრისაგან გისუფთავებდეს. ეს მე ვარ — თოვლი, შენი ნარინჯისფერი ლამეებიდან გამოქცეული ცრემლი ვარ მხოლოდ, არ გაგიკვირდეს. ჰო, მე ვარ შენი სიყვარული, რომელიც გქონდა, და ან არც გქონდა და უბრალოდ მოიმიზებე. ჰო, მე ვარ ცრემლი, და იცოდე — შენგან წავედი, აღარ მომქებნო, აღარ — იცოდე. ეს მე ვარ დედა — დედაშენი, შენი ამ ქვეყნად მოვლენა რომ გავითამაშე, მუცლით გატარე, გამოგზარდე, გაგათამაშე. და კარგად მახსოვს, ისე ცხადად, ვით შენი შობა, შენი გაცნობა, რომ ნარინჯისფერ ლამეებზე, ჩვენ არც ცხადში და არც სიზმარში, არასოდეს შევეთახებულვართ. ჰოდა, მეც თითქოს ურიცხვი სტუმრის ნაქიფარ, ნაომარ და ნაიარევე ლხინის, დარდის, მაგრამ სუფრას, შეტოვებულ ჭურჭელს, ჭუჭყიანს და მიყრილ-მოყრილს, გამთენიას ვალაგებდე, ვრეცხავდე და ზედ შეჩენილ წყლის სველ წვეთებს ზედმიწევნით მშრალი ჩვარით ვანკრიალებდე, მიმაქვს შენი ყველა ცრემლი, მიმაქვს იცოდე, რადგან მახსოვს, კარგად მახსოვს, როგორც შობა შენი, შენი გაცნობა, ნარინჯისფერ ლამეებზე, ამ თამაშზე და ასეთზე, ჩვენ არასდროს, ჰო, არასდროს შევეთანხმებულვართ. ეს მე ვარ თოვლი — შენი ნარინჯისფერი ლამეებიდან გაძევებული სიყვარული ვარ, არ შეგეშინდეს, არსად წავსულვარ. ისევე აქ ვდგავარ, შენს ზურგსუკან, მდუმარე და შეციებული. უბრალოდ გიცდი. და სანამ გიცდი — ერთგულად და თავდავინწყებით, შენს ლამეებზე, შენს დღეებზე ნარინჯისფერზე, ნაცრისფერზე თუ იისფერზე — ეს სულ ერთია, მე ხომ თოვლი ვარ, ჰოდა, იცოდე, (და შენ ეს იცი) ყველაფერს მივხვდი, ყველაფერს მივხვდი.

ლექსი გადარჩენაზე

არ მსურს ამ ლექსში იმ დროზე მოვყვე, ყოველ სისხამ რომ მივუყვებოდი თავდაღმართს, და ვერ ვგრძნობდი სუსხსაც, რომელიც გორგუნავს. ახლა არც ჩემი აღმასვლების მსურს გახსენება, ზოგჯერ ხომ ხდება, რომ ისინიც საშინლად გაჟღან, ან უფრო სწორად, საკუთარ თავს რომ მოიბეზრებ სწორედ მათ გამო და შემდეგ დუმხარ. არც სიყვარულზე ვისურვებდი ახლა საუბარს, არც პირველზე და მით უფრო არც უკანასკნელზე — ეს ღამე ალბათ ვერ იქნება მეტიმეტი სენტიმენტების, სჯობს რომ ისინი დროულად მოვკლა. სიკვდილზე ფიქრი ყოველთვისაც დასაშვებია, ის სულ მზად არის შიშით, ძრწოლით გაგვიმასპინძლდეს, მაგრამ დღეს არა, დღეს მე მასაც ზურგი ვაქციე, და ისე ჩუმად, უხმაუროდ გადავეკარგი, შენი თავისგან გაქცევა რომ შეიძლებოდა თითქოს, ითხოვს ეს ლექსი პერსონაჟებს, მკითხველიც ითხოვს, ჰოდა, მე მსურდა მომეყოლა ადამიანზე, ვითომ რომ ყველამ დავინწყა, გაიუცხოვა, ან სულ პირიქით, ყველას რომ ახსოვს, ყველა რომ იცნობს. ჰოდა, მსურდა მე მომეყოლა არა მის ღამის ზმანებებზე, შიშებსა და ორთაბრძოლებზე, არც თავდაღმართზე, არც აღმართზე, და ბევრჯერ განცდილ სიკვდილსაც არ გავიხსენებდი, კაცმა რომ მკითხოს, მის სიყვარულზე? ვერა, ვერ შევძლებ მოვუყარო თავი ჩემს სათქმელს. და სიცოცხლეზე, რომლის გარემეც თავად ეს ლექსი ვერ ჰპოვებდა რამე დასაყრდენს და იქნებოდა უბრალოდ ხათრით? ალბათ ასეა, ასეა ალბათ და მაინც მე მსურდა, მომეყოლა გადარჩენაზე ადამიანის, ვერასოდეს რომ გამოგრჩება მისი სიტკო, მისი სიმწარე. ნებაყოფლობით გადარჩენაზე, რომლისაც გნამდა, რომელიც გსურდა, და იძულებით გადარჩენაზეც, ყველა გრძნობას რომ ერთად თავს უყრის და უწყის ღმერთმა ალბათ მხოლოდ, თავდაღმართები, შეძლებული აღმასვლები, სიყვარული უკანასკნელი, რომელიც თურმე „სრულებით სხვაა, და ქარიშხლებთან მოალერსე ხშირად პირველს სჯობს“, სიკვდილ-სიცოცხლის მთელი ეს დრამა, როგორ გაბრუნებს ნაძალადევ გადარჩენასთან (შენი რომ ჰქვია და სამუდამოდ შენთან დარჩება), ყოველი მძიმედ გადადგმული ფეხის ნაბიჯზე. მე მსურდა დღეს, რომ მომეყოლა გადარჩენაზე ადამიანის, მის სიტკობზეც, მის სიმწარეზეც,



და არაფერი ყოფილიყო უფრო მეტად აღმატებული,  
უფრო მეტად დამორგუნველი  
ან უვნებელი.  
მე მსურდა დღეს, რომ მომეძებნა იმხელა ძალა,  
იმდენი სიტყვა, იმგვარი ვნება, ისეთი განცდა,  
რომ მომეყოლა გადარჩენაზე  
ადამიანის.

ეპოსანი თქმული

და რომ მეგონა ვერ ავდგებოდი, მაშინ ავდექი,  
ვიდექი მტკიცე და ურყევი, როგორც ოდესღაც  
დაუჯდომელის საკითხავად გამზადებული.

მე მქვია ევა, გამარჯობა, როგორ გიკითხოთ?  
და რადგან გსურდათ ოდითგანვე და ამჟამადაც,  
მე თითქმის ღრმად ვარ დარწმუნებული,  
გსურთ ჩემზე ბედი გადამინყვიტოთ,  
გადამინყვიტოთ,  
მზად ვარ ვიტვიტოთ,  
არჩევანი მაინც ვიცი, არ დამრჩენია.  
მე ასე მითხრეს, რომ იმ სამყაროს ამ სამყაროდ  
გარდასახვა ჩემზე ჰკიდია, ჩემს ვნებებზე,  
ლტოლვასა და ცნობისნადილზე,  
რომელიც დამყვა,  
რაც მე არასდროს მითხოვია, მომითხოვია,  
ლმერთო, შემინდე.  
მე მქვია ევა. ვბედავ, ვთქვა, რომ სიყვარულის  
სულაც არ მსურს ბრმად რომ ვინამო,  
მინდა გავხადო სიმბოლური შესამოსელი  
(სიმბოლოების ვერა გავიგე),  
ხელის ფათურით შევუმონმო ყველა უჯრედი  
მთელი სხეულის  
და სხეულში გაჩენილი ღრეჭობიდან  
კიდითკიდემდე ჩაწვდე მის არსს,  
არსებობის ტრექტორიას.  
ვერას ვუხერხებ თანდაყოლილ ცნობისნადილს  
ბოხოქარი ვნებების გამო,  
რისთვისაც მამხელს ალბათ ერთ დღეს  
ბევრი თქვენგანი.  
ჰოდა, რა გითხრათ,  
მე მქვია ევა და არ ვარ ალბათ უსუსური,  
ნაზი ფრთოსანი,  
და ვერც ყაყაჩოს შემადარებთ ველად ამოსულს,  
ქარისგან მუდამ რომ სჭირდება დაცვა, დამალვა,  
თვითონ ქარი ვარ და ხანდახან ხდება ისეც, რომ  
ქარიშხლადაც გადავიქცევი.  
მინდება ყველა დაგმანული კარი შევლენო,  
მივაყურადო, გამოვიხმო სახლის პატრონი.  
მინდა ვიცოდე, თუ ვმარცხდები, ვისთან ვმარცხდები,  
თუ ვიმარჯვებ, ვისთან ვიმარჯვებ,  
მინდა მიცნობდნენ ჩემი სხეულით,  
ჩემი სულით, ჩემი გონებით, დაე, მიცნობდნენ.  
მინდა ვიცნობდე.

მე მქვია ევა და ასეთად ღმერთმა დამბადა,  
მომანიჭა ყველა უფლება, თუ შეგრძნება,  
რომელიც ღირდა, თავად განსაჯეთ:  
მომანიჭა სმენა, ყნოსვა, გემო-ვნება,  
ხედვა.  
ვითხოვე. დიახ, ვითხოვე.  
ჰო, ეს გზა თავად ავირჩიე, თავად.  
ვიბრძოლე.  
არ ვიცი, იქნებ ამაოა სულისკვეთება, რომელიც მქონდა,  
რომლისთვისაც დავთმე სამოთხე  
და ავირჩიე გზა,  
რომელიც ფეხის მტევენებს მწვავს,  
სხეულს მიძარცვავს.  
ვინ იცის, იქნებ ამაოა სულისკვეთება.

დიახ, მე მქვია ევა. ევა — ასე მიწოდეს,  
და მაშინათვე ჩამაგონეს, რომ არსებობს დიდი ცდუნება,  
რომელსაც განვსჯი, თუ მაცდუნებს ჩემივე თავი.  
და მაშინათვე შემაცდინა ჩემმაცე თავმა.  
და მაშინათვე მომინდა, რომ ვეცდუნებინე,  
და მაშინათვე თავად განვსაჯე.  
მე მქვია ევა, გამარჯობა, როგორ ბრძანდებით?  
დიახ, შევშინდი, არაერთხელ, ბევრჯერ შევშინდი,  
შემაშინა ჩემმა სხეულმა,  
რომელიც მომცეს — სიმბოლური შესამოსელი,  
მითხრეს, ჩაიცივი!  
და დავიმალე ჩემს სიმბოლურ შესამოსელში,  
სხვა გზა არ იყო.  
და ვატარებდი, როგორც ბურკას — წლების შემდეგ  
მუსლიმი ქალი.  
და ვატარებდი სხეულს მძიმედ — მიუჩვეველი.

და ვცხოვრობ ევა.  
მილიონობით საუკუნეს უტოლდება ჩემი სიცოცხლე.  
ისევე ისე მწვავს ფეხის მტევენებს ცხელი ასფალტი,  
და განძარცვულიც კვლავ მძიმეა ჩემი სხეული.  
და ვამბობ, ვცხოვრობ შორიანხლოს, ქუჩის კუთხეში,  
ვამბობ ღიად, დაუფარავად,  
რომ მქვია ევა, ასეთია ჩემი ხვედრი, არჩევანი,  
ჩემი ცხოვრება,  
და თუ გაფრთხოვთ, თუ ვერ მღებულობთ,  
როგორც ინებებთ,  
და თუ ინებებთ,  
ნუ მიმიღებთ,  
ნუ შემეყვარებთ.

ნატალია ზარნაძე

\*\*\*

„სახლის მცენარეს რა შეუძლია?“  
ლელა სამნიაშვილი

რა შეუძლია ოთახის ყვავილს?  
სახლის მცენარეს რა შეუძლია?  
თიხის ქოთანის ფანჯარასთან — მისი ბედა,  
უზრუნველობის ასრულებულ ოცნებაში ფესვი გაუდგამს,  
მას არც შია და არც სწყურია...  
დედამინა ქალამნებად თუ ვერ მოირგო,  
ცა ქუდად ვერა, მაგრამ  
თავზე ჭერი ხო ახურია!

უხილავ საზღვრებს ადგენენ მისთვის შუშის მცველები,  
და ქარიც გულით ენარცხება  
პირაქითა სახელმწიფოს დახშულ ფანჯარას,  
წაგლეჯს თავიდან გვირგვინს?  
ვერასდროს!  
რადგან ქარიშხლის მშვილდ-ისრები მუდამ ასცდება  
შინაურ ამინდს.

და ამიტომაც გეკითხებით:  
რა შეუძლია ოთახის ყვავილს?

ფესვები სვამენ,  
დალოცვილია მათი ძალა, კვირტებისთვის —  
სიცოცხლის გზა,

მაგრამ აბა, გზა?  
ანდა წვიმები...  
ან წვიმებად მოხეთქილი სიხარულის ზღვა?  
მხოლოდ პირმშრალთა ოცნებები სცნობენ ამ გრძნობას.  
ქოთნის ყვავილი ზოგჯერ ეკლებსაც გამოისხამს —  
წასძლევს ანცობა,  
ანდა სურვილი,  
აფორიაქოს სახლის პატრონი და მიანიშნოს:  
რომ თუ დასჭირდა, მისი სისხლის წვეთებსაც დალევს,  
რადგან უმსხვერპლო,  
უმტკივნეულო სილამაზედ ყოფნა რცხვენია...  
მე კი ვიცი, გულუბრყვილო თამაშია ეკლების დრამა,  
სახლის ყველა ყვავილმაც იცის, გვიან თუ მალე  
ვაზის მაკრატლით დაუზღუნებენ,  
ან თვითონ დახრის აღერილ ბრჭყალებს,  
ამიტომაც ისევე ვიკითხავ, რა შეუძლია ოთახის ყვავილს?  
ანდა საერთოდ,  
შეუძლია ნეტა კი რამე?

ხანდახან, როცა ბალახის სუნით ფილტვსავსე ქარი  
ღრეჭობიდან ფიქრში მოძვრება,  
სტვენით ყვება ველური რბოლის, სხვა ცხოვრების,  
მინდვრების ამბავს,

ქოთნის ყვავილებს უკვირთ: ქვეყანა არ სცოდნიათ,  
რამდენი რამე არ სცოდნიათ!  
ველების მხარეს სხვა წესია, რაღაც სხვა ხდება  
მინდვრის ყვავილებს არავინ რგავს,  
არავინ რწყავს,  
არავინ უვლის;  
მინდვრის ყვავილი თავისით იწყებს ცხოვრებას,  
სადაც მოუხერხდება,

ზოგი მათგანი წვრილია და თან ისეთი შეუმჩნეველი,  
ყვავილსაც კი არ დაუძახებ, რომ გაიმიტო.  
ზოგი კი ისე აბრიალდება,  
თითქოს მინას მზე მოეწყვიტოს,

ჩაებნისო ჩალისფერ თმაში.  
მინდვრის ყვავილი შეიძლება ყინვაში დაზრეს,  
ან სიცოცხლეს ჩაჭიდებულმა წვალებით  
თავი გადაირჩიონოს,

ის შეიძლება იქ გაიშალოს,  
სადაც თვალსაც ვერ შეავლებენ,  
შეიძლება ისე დაჭკნეს,  
არ დაყნოსოს ქვეყნად არავინ  
და ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება,  
სიკვდილის წინაც არ დაიჩივლოს.  
ის შეიძლება ჩამოახმოს ზაფხულის გვალვამ...  
მას შეიძლება კვირტიც მოუკვდეს,  
მორიგ წვიმამდე მუჭში ჩაჭერილ ნამის წვეთს  
თუ ვერ იმყოფინებს.

მინდვრის ყვავილი შეიძლება გადათქვრონ  
ანყვეტილმა გიჟმა რამებმა,  
რომელთა სულმაც ვერ იგუა თივა და თავლა.  
მინდვრის ყვავილი შეიძლება მოჭრან, მოწყვიტონ,  
საყურებლად წაიღონ და  
წყლიან ჭიქაში ისე ჩაალბონ,  
რომ გადაყრაც კი გადაავინყდეთ.

მინდვრის ყვავილებს კუდიანები  
ხანდახან საესე მთვარეზე კრეფენ  
აქუცმაცებენ, ხარშავენ, სრესენ,  
რომ დაუძლეველ ჯადოდ აქციონ  
და მან დალიოს,  
ვისაც სიცოცხლე, სიკვდილი,  
ანდა სიყვარული შემლიღივით მოსწყურებია.

ზოგიერთი მინდვრის ყვავილი  
უცხო საფლავზე ფერადი კაბით მივა, დადგება,  
შეუძლია ურცხვად იცინოს,  
ალბათ წამითაც არ დაფიქრდება,  
რომ ასე გახდა ხორცისმჭამელი,



თავისი მკრთალი ძარღვების ქსელით  
ვილაცის ძარღვებს ტკბილად სრუტავს და ალისფრდება.

ზოგიერთი მინდვრის ყვავილი  
გადაგიდგება როგორც ავარა,  
ყლორტებს იქ გაშლის, სადაც შარაგზა  
გვერდზე უვლის და გაჭიმულია ნაცრისფერ ზოლად...  
დილის ცვარ-ნამს სამშვენისად ჩამოიკიდებს,  
ასე ლალანებს მგზავრების გზიდან გადასაყვანად.

სახლის მცენარე ამ საფიქრალის გადასატანად  
წვალობს და ცდილობს, მდევარი აზრი ქარს გააყოლოს,  
ანდა პირიქით, უფრო მეტად ჩაიძიროს  
უცხო მხარის წარმოდგენაში...

იქნება, ვოზდეს, რომ გაიქცეს ამ ოთახიდან?  
თვითონ გახდეს თავისი თავის ბატონ-პატრონი,  
თვითონაც იქცეს ველურ მცენარედ,  
ჩაემაგროს მიდვრის კიდებს, ჩადგეს ვენახში,  
გადაირნეს ბალახთან ერთად,  
აჰყვეს იმ ტალღას, მინდვრიდან ყანას,  
ყანიდან ლელქაშს შებერვით რომ გადაეცემა  
ფრულოვით, მღელვარედ...  
არც სიცხეს, არც ქარს არ შეუშინდეს,  
არც გახმეს, ყველა ზამთრის შემდეგ  
მინიდან აღსდგეს, გამოახილოს თვალი ელვარედ!

ან შეიძლება,  
მინდვრების ამბის გაგების შემდეგ სახლის მცენარემ  
თავი მოიკლას,  
გადავარდეს ღია ფანჯრიდან,  
დაენარცხოს ზათქით მინაზე,  
და დაამთავროს სიცოცხლე ყველას დასანახად,  
შუა ქუჩაში,

რადგან პასუხი ვერ იპოვა,  
პასუხს ვინ ჩივის,  
თვითონ კითხვაც კი ვერ იპოვა,  
ბრაზის მიზეზიც ვერ გამოიცილო,  
რომელიც პასუხს აპოვინებდა!

მან აღარ იცის,  
სძულდეს? უყვარდეს? ვინ? რატომ? რისთვის?  
ამიტომაც არც არასოდეს ეცოდინება,  
თვითმკვლელობა სიცოცხლის წყურვილს  
რომელი ფესვით უკავშირდება.

იქნებ ცხოვრება იქ არის,  
სადაც შენი განირვაც შეუძლიათ და გადარჩენაც?  
და ამიტომაც, არცოდნის გამო უნდა გადახტეს.

...მაგრამ ვერასდროს!  
სახლის ყვავილი  
ვერც სურვილებით გადაამეტებს  
ამ უსახელო უძლურებას,

ვერც ფეხს აიდგამს...  
თუკი ხელებით გარეთ გაინევს, თავს მოიტყუებს,  
რადგან ფესვები ქოთნის კუნძულზე დააბრუნებენ,  
გაღეჭავენ სასუქს და ნეშოს,  
ღეროები შეისრუტავენ მანებლებისგან  
გადამრჩენელ მოტკბო კოქტილს,  
ოთახის სითბო ფანჯრებს დაორთქლავს  
და ყოველივეს უცებ დაბინდავს,  
თუკი რამე სახლს მიღმა დარჩას...

ამ დროს ოთახის ყველა მცენარეს  
დანამულ ტანზე ტაო აუფლის,  
ამ დროს ფოთლები  
ქარის მოტანილ მტვერს დაიფერთხენ,

ამ დროს თამამად წაღვამართული,  
ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ყველა ყვავილი  
უბრძოლველად გადარჩენილთა სადღეგრძელოს  
შესვამს ნაზი,  
ტკბილი ღიმლით.



„არა გეშინოდეს შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავს დღისი; ლუნლისაგან, რომელი ვალს ბნელსა შინა, შემთხვევისაგან და ეშმაკისა შუა დღისა.“

90-ე ფსალმუნის

1.

— ტაბა! — გაისმა ხმა. — რომელი ხარ? — გასძახა მარიამ, თუმცა პასუხს არ დალოდებია, პარმალის კარი გამოაღო. — ტაბასთან რაღაც საქმე მაქვს! — უცნობი კაცს სახე თითქმის არ უჩანდა, მხოლოდ ჩაღისფერი თვალები იმზირებოდა სადღაც სიღრმეში. შელახული შარფი ბალახის სურნელს აფრქვევდა. — ტაბა შინ არ გახლავთ, ნაკვეთშია წასული! — თქვა მარიამ. — ვარამ მომასწავლა თქვენთან, დიდხანს არ შეგანუხებთ. კიბის თაობაზე ვარ. რაც შეიძლება გრძელი და გამძლე ხის კიბე მინდა, დავამზადებინო. — თუ დაელოდებით, არა მგონია, დიდხანს შეყოვნდეს! — თქვენ რომ გადასცეთ? ახლა ძალიან ვჩქარობ, გასამრჯელოზე არ იდარდოს, ხელობის შესაბამისი იქნება! — როდისთვის გინდათ? — როცა დაასრულებს, მაშინ! მარია ვერაფერს მიხვდა. — მაინც რა სიგრძის უნდა იყოს? — რაც შეიძლება გრძელი, ხომ გეუბნები, ოღონდ შესაბამისად გამძლე. ახლა თაფლსა და საკმევებს დაგიტოვებთ, თან მეტი არაფერი მაქვს! მარიამს უნდოდა, საქმეს მეტი ნათელი მოჰყენოდა და რაიმე დეტალი კიდევ შეეტყო, მაგრამ ამასობაში უცნობი ეზოდან გავიდა და თვალს მიეფარა.

2.

მინაზე პირთამდე სავსე თავმოკრული ტომარა სუფრაზე ჩაძინებული კაცივით იდო. ტაბა თხრას განაგრძობდა, ცოტათი კარტოფილი კიდევ ამოიღო და პატარა ტომარას თასმა მოჰხვია. ორიოდ მუჭა ხორბალი ჯიბეში ჩაიყარა, მერე ორივე ტომარა ზურგზე მოიკიდა და ფერდობი ნელი ნაბიჯით განვლო, სანამ გზაზე გავიდოდა. ძაღლების ჯგუფმა მღუშარედ ჩაუარა, ერთი მათგანი შეჩერდა, მინა დაეხრია და მერე დანარჩენებს მიაშურა. ტაბის ნანგრევებთან მათხოვარი იჯდა. ფეხები იმავე ლოდზე შემოეწყო, გრძელი ბანრით ტანზე რომ ჰქონდა შებმული. ჯერ მისი ცხვირი გამოჩნდა, შემდეგ სახის სხვა ნაწილები. სასაცილოდ გამოიყურებოდა. მის სიტყვაკაზმულ ლაპარაკს ტაბა სანახევროდ იგებდა, მაგრამ მოსაუბრეს ყოველთვის უსმენდა. — ისევ ქვას დაათრევ, მალაქია? — შენ კი ისევ კარტოფილს, ტაბა? — ცოტათი ხორბალიც მაქვს! მალაქია შორს იყურებოდა, იქ რაღაც ბუნდოვანი მოძრაობა შეიმჩნეოდა. — ეს ქვა უფსრულის ფსკერიდან ამოვიღე. მას მერე თან დაეატარებ, ისევ ფსკერზე რომ არ აღმოჩნდეს. ბანარი კი გრძელია. რა იცი, რაში გამომადგეს. ბავშვობაში თიბვა მიყვარდა, მამაჩემი კი მუდამ შენიშვნებს მაძლევდა. მიჭირდა მითითებებით თიბვა, მაგრამ მისი შენიშვნები ძველ-რბილში გამოიჯდა. კანონმორჩილი გავხდი, რადგან ამას გარემოებები მაძლევდა... გესმის ყრუ გუგუნი? — ქვის სამტეხლოები ალბათ, — თქვა ტაბამ, — ეტყობა, შორს გზა გაჰყავთ, აქაურობა რისთვისაც მიყვარდა, მალე თავის პენს და ეშხს დაკარგავს, ცოტა დროა დარჩა! — ცხოვრება ასეა მონყობილი — რაღაცას აღტაცებაში მოჰყავხარ, რაღაცა განწყობილებას გიფუჭებს. მაგრამ თუკი შენ მსმენელს აიძულე აღტაცების გამოხატვას, გულგრილობის ყალბი ღიმილით გადაფარვა მოუწევს! — გაეპასუხა მალაქია. — რას დაეძებენ გამომშრალ მიდამოებში? ნუთუ ნავთს? სანავის პოვნას ცდილობენ იქ, სადაც მზისა და ცეცხლის მეტი არაფერია. მეც მინახავს მზინავი მარცვლები, როცა კარტოფილს ვიღებ ხოლმე, მაგრამ ციბე-ცხელზეა კი არ შემყრია ამის გამო. ნავთი ერთმა მათგანმაც რომ იპოვოს, მითქმა-მითქმა ატყდება, მოახალშენებთ გაიკვება აქაურობა. სა-მოსახლოს მოსვენებას აღარ მისცემენ. მე მაინც არ დავთმობ აქაურობას. სარკმ-

ლებიც კი ამოგვმანე, ეგ მხარე თვალ-თახედვის არემი რომ არ მოქცეულიყო! — თქვა ტაბამ, — ქალაქის არაფერი მწამს, აქ მინდა, ბავშვები გავზარდო. — ეგ სიჯიუტე მოიშალე, მოსახდენი მაინც მოხდება! — თქვა მალაქიამ. — შენ ფიქრობ, რომ მომავალი ქალაქს ეკუთვნის? — ჰო! რახან წარსული სოფელს ეკუთვნოდა. — მაგ ამბებს ძალიან განვიცდი, კომ-მარები მესიზმრება, ძილიც კი გამოქრა. — მე სიზმრებს დაძინებისთანავე ვნახულობ, რომელიც მტკნარი, ხანგრძლივი და უსახური ერთფეროვნება მოჰყვება ხოლმე. გაღვიძებისას შინაარსი აღარც კი მახსოვს, ბუნდოვან ფრავმენტებს თუ არ ჩავთვლით, — ამოიხრა მალაქიამ. — ადრე მდინარის წყალიც გვეყოფიდა. შორიდან მოგვექონდა და ვიზოგავდით. არც წყალსატევი იყო ახლომხლო. ამ დამდგარმა და დაჭაობებულმა წყალმა კი კოლო გააჩინა! — ხელი ტბორისკენ გაიმვირა ტაბამ. — კოლო ყოველთვის იყო. ეგ არის, ჩვენ არ ვნუხდებოდით. წინაპრები გაცილებით ბრგეები გვყავდა. გამხმარი პურის ყუით

ლიმიტრი ნიკლაური

ეშმაკის შუადღე



ნაკვეთსაც საოცარ ძალას ავლენდნენ. ოფლით დაცვარული სპილენძის კუნთები მზეზე უბზინავდათ. თან მუდამ იმას ჩაგვიჩინებდნენ, რძეს ნუ დატოვებთ, ბოლომდე შეხვრიპეთო. ერთხანს ორივენი გაჩუმდნენ. — შენი გამკვირვებია, მალაქია, ნეტავ ამ ქვას რაღას დაათრევ! ცხოვრება ისედაც ტანჯვით და უსიხარულით მიედინება! — თქვა ტაბამ. — ნიშანი მომეცემა და შეგწყვეტ! — ბანარი მაინც დაამოკლენ, ანდა მსუბუქი ქვა გამოაბი! — ღვთის ნებაა ბანრის სიგრძეც და ქვის სიმძიმეც! — უცნაური კაცი ხარ! — თქვა ტაბამ და მის წინ კარტოფილის გადმონყობა დაიწყო. — კარტოფილი უგემურია, ხორბალი მირჩენია! — ხელები გაასავსავა მალაქიამ. — კარტოფილია უგემური? — გაეცი-ნა ტაბას. — რომ ჩავკბიწე, ღამის გული ამერია! — ეტყობა, უმად მიირთმე. სახლში რომ დაგვატიფე, ცივი უარი მტკიცე! — სახლში დამპატიფა ვაუბატონმა! — გამოაჯავრა მალაქიამ, — ნეტავი შენთვის რა გაგაჩნია, ჩემთვის მაგ შენი ვაგლახი პატიოსნებით! სადღაა პატიოსნება? დღეს ვინც ცოცხალია, ყველანი გვარიანი გაიძვერები არიან! მართალი და პატიოსანი ხალხი შიმშილმა და ნერვიულობამ განყვიტა! — ჩვენ კი რატომღაც ცოცხლები ვართ! — განა ოდესმე მითქვამს, პატიოსანი ვარ მეთქი? რის მაქნისი ვარ. ადამიანთა დახარისხება რომ დაეწყოს, სიის ბოლოში აღმოვჩნდებოდი. ამაყი ვარ ჩემი სიმდაბლით. ოდესღაც საჭირო კაცი ვიყავი, დანესებულებებში ბლანკები დამქონდა ხელმოსანერად. მაგრამ მხარი მეცვალა.

მათხოვრების ღიგაში გავწვერიანი და ძველმა ძმაკაცებმა ჩემზე გული აიყარეს. გლახაკები გულლიად დაშვდნენ, თავისი-ანად მიიჩნიეს. ერთ რამეს მივხვდი, ადამიანები კი არ აქცევენ ზურგს, გზები ამოვრებთ. ვინც ერთ გზას ადგას, ერთად მიდის. ამ გზაზე რამე თუ დამიკარგავს, გული არ დამწყვეტია. სხვისგან მქონდა შეძენილი და ჩემი არასოდეს ყოფილა. მე ჩემთვის ისედაც არაფერი მჭირდება, არც ფული, არც საზოგადოებრივი მდგომარეობა, რადგან ბუნებით მანანნალა ვარ. ყოველგვარ ვითარებას შესანიღბად ვიყენებ, სულის მოსათქმელად. მამაჩემი თავის დროზე ნარმატებელი კაცი იყო, მაგრამ ხელს სულ სხვებს უმართავდა. ოჯახის წევრებზე ნაკლებად ფიქრობდა. იმ ხეს ნააგავდა, ყველაზე მსხმოიარე ტოტები ღობის იქით რომ აქვს გადაშვრილი და უცნობი გამვლელები პატრონებზე მეტად სარგებლობენ. მე აღარაფერს წარმოვადგენ, თან ეს სოფელიც მომცრო და უპერსპექტივოა. პატარა სოფლის თავკაცები რეანიმაციის ექიმებს მაგონებენ, რომელთათვისაც მთავარი მორიგეობის გადაბარებაა, ავადმყოფი მათ ცვლაში რომ არ გარდაიცვალოს.

ლიმიტრი ნიკლაური

ეშმაკის შუადღე

ტაბას გაეცინა, ხორბალი მუჭში ჩაუყარა და ნასასვლელი ვარო, გამოემშვიდობა. კარგა მანძილზე რომ გაცდა, უკან მოიხედა. ცის ნაგლეჯის ფონზე ტაბის ნანგრევებთან წამოწოლილი მანანნალა ისევ მოჩანდა, თავზე მტრედები დასტრიალებდნენ, სპეტაკი თოვლივით ქათქათა მტრედები. ეტყობა, იმ ხორბლით კვებავდა. მალაქიას ადრინდელი დარიგება გაახსენდა — ჯობს, გაგლანძონ, ვიდრე განგადიდონო. ეს სიტყვები ტაბასთვის შედგამოჭრილი იყო, რადგან ცხოვრების დარტყმებს ისე უყურებდა, როგორც ოსტატის ხელებს, თიხას რომ ზელენ გამოძენვამდე. — მაინც ვინ იყო? — უცნაური ვინმე ჩანდა, სახეზე ნაც-რისფერი შარფი ჰქონდა შემოხვეული. ჯერ ვიფიქრე, მალაქია ხომ არ არის მეთქი, მაგრამ უფრო ბოხი ხმა ჰქონდა და ნელ-ნელა გამართული იდგა. კიბის გაკეთებას თუ შეძლებსო, შენზე მკითხა. რა არის გაუკეთებელი მეთქი, ვუპასუხე. რაც უფრო მეტი საფეხური ექნება, მირჩენიაო. — მაინც რამდენი, არ დაუზუსტებია? — ჰკითხა ტაბამ. — რაც უფრო მეტი, მით უკეთესიო. — გასამრჯელო? — მერე გავსწორდებითო, თაფლი და საკმეველი დატოვა. ტაბამ მხრები აიჩეჩა, საქმის ასეთი გარიგება არასოდეს სმენოდა. თაფლი საუცხოო გამოდგა. — უცნაური კაცი ჩანდა. ვიფიქრე, მალაქია იყო გადაცმული! — განაგრძობდა მარია. — მალაქია სულაც არ არის უცნაური! — შეიცხადა ტაბამ. — აბა, რატომ არ ადგება და არ შეწყვეტს ნანანალს?

— ნეტავ რას ჩააცვიდი? ცხოვრობს თავისთვის. არავის ხელს არ უშლის. თანაც ნიშანს ელოდება, ლოდი რომ მოიშოროს. თვითონ მითხრა. უბრალო კაცი არ გეგონოს. მოკუზული რომ არ დადიოდეს, მოკაზმული ივლიდა. კაცს არ სურს თავის წარმოჩენა, განდევნილად საქმიანობს და ყურადღების მიქცევას გაურბის! — იმ კაცმა ვარა ახსენა, იმან მირჩიაო თქვენზე. — ვესტუმრები, ისედაც ვაპირებდი მის ნახვას! ტაბამ პატარა ქილაში თაფლი გადაიღო. ვარა შორიხლო ცხოვრობდა. მოკითხვის შემდეგ, ფარნა ხომ არ შეგხმინებიაო, დაინტერესდა. — იქნებ ჩახვიდე ქალაქში და მოინახულო. ქალაქის გარეუბანში მუშაობს, კარიერთან. ისეთ სიზმრებს ვნახულობ, ძალზე დავდარდიანი! — თავი გადაიქნია ვარამ. — არ იდარდო, ვინახულებ აუცილებლად, მეც შენატრება ფარნა, ბოლოს და ბოლოს ამდენი ხნის მეგობრები ვართ! — ეჰ, ნეტავ იმ დროს, ჩემ თვალწინ იზრდებოდი! — ამ დღეებში უთუოდ წავალ! — გული კი არა, ბაჯალლო გაქვს! — ეგ რა მშვენიერი სათვალე გქონია! — თემა შეცვალა ტაბამ. — ჰო, ფარნამ მაჩუქა! მაქედან ვერ ვიყურები, მაგრამ მშვენიერი სათვალეა. ტაბამ სათვალე გამოართვა და შეათვალიერა. სალაპარაკო მაინც არაფერი დარჩენოდათ. სათვალით მოვდივარ აღფრთოვანებაში, გაიფიქრა მან, განა იმ გარემოებებით, რომელსაც სათვალის მეშვეობით აღვიქვამთ. მერე ვარამ ხელში რაღაც ნაჯღაბი შეაჩეჩა, წერილს გაატანო ფარნასთან. სანამ ასობის გარჩევას შეძლებდა, ზეპირად ჩაუკაკლა. ტექსტი მგრძობიარე მოკითხვას წარმოადგენდა. ტაბა მისი საცოდობით აღარ იყო. ვარას ამოხვრებს შორის რაღაც გროშები დაულაგა მაგიდაზე, ჩაღრმავებულ ადგილას, ძირს რომ არ გადაცვილიყო. ტაბას ისედაც ცოტა ჰქონდა და თითოეულ მონეტაზე გული წყდებოდა, მაგრამ ხელი ჩაიქნია. დაგჭირდებაო, უთხრა ვარას. — ჰო, მართლა, ვილაც კაცი მოსულა ჩვენთან შენი სახელით, კიბის შესაკვეთად. — ჰო, აქაც იყო, კიბის ხელოსანს ხომ ვერ მიმასწავლითო, შენთან მოვასწავლე! — მამ არ იცნობ? — საიდან უნდა ვიცნობდე?! — მხრები აიჩეჩა ვარამ. ტაბა მალე გამოემშვიდობა და ცოტა არ იყოს გაგულსებით გაიჯახუნა ეზოს კარი, რომელიც დიდხანს და საწყალო-ბლად ტორტმანებდა. კარგ ხასიათზე რომ დამდგარიყო, ხელჩასაჭიდს ვერაფერს პოულობდა. არადა, უყვარდა ვარასთან სტუმრობა, მშუუტავი კერია. თავის სახლი რომ გამოჩნდა, მომღიზიან სახით გახედა. საბძელში წერაქვი და აღჭურვილობა ჩვრით გადამინდა და ფიქრს მიეცა. აღარ იცოდა, რა გზას დადგომოდა. მწირი შემოსავალი, რომელიც გააჩნდა, ოჯახისთვის აღარ ჰყოფნიდა. შორს ტყე მოჩანდა, შემას როგორმე განვდებოდა. უყვარდა იქ ხეტიალი. პატარა ყვავილებით მოჩითული მდელო. ღამით ბევრჯერ დარჩენილა. ნაპერწკლებით დაწინკლულ ველზე იწვა და ციციბათელებთან ერთად ვარსკვლავებთან ცას აჰყურებდა. როგორ უნდა გაჭირვებოდა, აქედან წასვლაზე ეფიქრა. თუმცა გრძობდა, რომ ცხოვრება მალე ყელში წაუჭერდა. ამას მთელი არსებით განიცდიდა, მაგრამ ხარჯს მალაქიას მტრედების გამოკვების ხარჯზე არ შეამცირებდა. თუნდაც ამით კვირაში ერთი იჯრა დაეზოგა. საქმე, რომელსაც ენეოდა, ვეება ცისტერნის წვეთებით შესვებას ჰგავდა...

4.

მომდევნო დღეებში თავისუფალ დროს კიბეს უკირკიტებდა. დროდადრო შუბლს შემშრალებდა ხოლმე და გზას გახედავდა, ის უცნაური შემკვეთი ხომ არ მოდიოდა. თვალსაწიერზე არავინ ჩანდა. ოცდახუთი საფეხური მაინც გააკეთა. მერე კიდევ გააგრძელა საქმე, მაგრამ შეიდი-რვა საფეხური ძლივს მიაბაძა. ბოლოს ხელი ჩაიქნია და ქალაქში წასვლა გადაწყვიტა. შუადღისას გაეშურა. დილის ბინდ-ბუნდში უკვე ქალაქში იყო. უყვარდა ღამით სიარული. ქალაქს რომ მიადგა, გაქვავებული ეგონა. ირგვლივ მოძრაობის





ჩემი სამუშაო სახეობით მაკმაყოფილებს: მაქვს საკმაოდ კარგი ანაზღაურება, მყარი საზოგადოებრივი მდგომარეობა, დიდებული კი-მეთქი, ვიტყვოდი, ჩემს მეტისმეტ ოპტიმიზმს ხვალისდელი დღის სრულიად ბუნებრივი შიში და იმაზე ფიქრი არ მიწვდებოდა, რომ ამქვეყნაზე ყველაფერი საალბათოა და მაინც, ჩემი შესაძლებლობის საზღვრებში უკვე მივაღწიე, როგორც იტყვიან, მწვერვალს.

ვცხოვრობ მილანში, ქალაქის ცენტრში, მაგრამ მყუდრო უბანში, მაქვს საკუთარი ბინა, რომლის ღირებულება ორმოცდორმოცდაათ მილიონზე ნაკლები არ იქნება, სანაპიროზე კი — ოთხოთახიანი საზაფხულო კოტეჯი. ჩემ შემოსავალს არავის ვუმაღავ, თვეში მილიონ ლირაზე ნაკლებს არ ვიღებ; მაქვს, აგრეთვე, ორი მანქანა, ერთი მე ვსარგებლობ, მეორე — ჩემი ცოლი, მეტი სიცხადისათვის ამასაც დავძენდი, რომ თავად უბრალო მცირელიტრაჟიანი მანქანით დავდივარ, ჩემმა ცოლმა კი თავისთვის უფრო ძვირფასი, ინგლისური მარკის მანქანა აირჩია.

მყავს ორი ვაჟიშვილი, საუკეთესო სკოლაშიც სწავლობენ და სულ პატარაობიდანვე მაღალი წრის ოჯახიშვილებთან მეგობრობენ. არა მგონია, ჩემს ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს; იმას რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ, თავისუფალი პროფესიის ადამიანებს, როგორც იტყვიან, ღმერთი გვმფარველობს; თუმცა წინასწარ ამის თქმა ძნელია, მაგრამ სანამ ძალა და უნარი შემწევს და ალბათ არც მომავალში მიმტყუნებს ბედი, საკუთარი თავისა და ჩემი ოჯახის რჩენას ყოველთვის შევძლებ.

ერთი სიტყვით, მე გახლავართ ბურჟუა, ძლიერი, საშუალო ფენის წარმომადგენელი და იმ სერიოზულ, პატიოსან და შრომისმოყვარე ადამიანთა კატეგორიის ვეკუთვნი, ვისაც ბევრი, თავისი სიბრძნის გამო, აღმაცერად უყურებს და სძულს კიდევ; კი არ ვიცი ამ სიძულვილის მიზეზი, ეგებ შური, ანდა სულაც კლასობრივი მტრობაა, — რასაც ბევრი ამტკიცებს, — მგონი სინამდვილეში ასეცაა.

ის „საფეხური“, რომელზედაც ფეხი შევდგი და ის მდგომარეობა, რაც ჩემი კლასის ცხოვრებაში მოვიპოვე, მუდამ ოცნების მწვერვალად მიმაჩნდა და ორმოცი წლის ასაკში მაინც ავისრულე. მე ეგრეთწოდებული განათლებული ბურჟუაზიის ფენას ვეკუთვნი, თუნდაც იმიტომ, რომ გამწარებით არ ვებლაუჭები კერძო საკუთრებას და არც ქონების დაგროვების მანიით ვარ შეპყრობილი. ბინა აუცილებელი იყო, ვილა ზაფხულში დასასვენებლად გვჭირდებოდა, მაგრამ ჩემთვის სულ არა აქვს მნიშვნელობა, ვისი საკუთრება იქნებოდა, ამიტომ ჩემი ცოლის სახელზე გავაფორმე, მითუმეტეს, რომ იგი ამისთანა რამეებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს; მის სახელზეა, აგრეთვე, ორივე მანქანა, უფრო სწორად, ერთი მის სახელზე, მეორე — ჩემი სიმამრისა, რომელმაც მილანში პატარა საქმე წამოიწყო.

ავეჯი ძველებური გვაქვს, ხარისხიანი, თითონ შევარჩიე; საერთოდ, ძველებური ნივთების კოლექციონერობა ჩემი ყველაზე დიდი გატაცებაა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ ავეჯს დავკანკალბედი, ბინის მოწყობა ხომ საჭიროა, მეც სხვა რა უნდა მექნა, ერთი კია, ამასაც საკუთრებად ჩამითვლიან; მაგრამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო ზუსტად ასეთი ავეჯის შექმნა განვადებით, უარს რატომ ვიტყვოდი!

ასევე შევიძინე სურათებიც, ძალიან მიყვარს ხელოვნება, მაგრამ აზრადაც არასოდეს მომსვლია, რომ ეს ფულის დაბანდების საუკეთესო გზა იყო; ასეა თუ ისე, ჩემი ცოლი მაინც ამ საზომით ზომავს სურათებით ჩემს გატაცებას და ძალიან უხარია, როცა შინ ახალი შენაძენით გამოვეცხადები ხოლმე; ოღონდ ერთ რამეში მაინც არ მეთანხმება, არა, გემოვნებას კი არ მიწუნებს, პირიქით, ჩემს გატაცებას კიდევ იზიარებს და აფასებს, მაგრამ მისი აზრით, თურმე არცთუ „პერსპექტიულ“ მხატვრებს ვირჩევ, ანუ ისეთებს არასოდეს ვყიდულობ, რომელთა სურათები დღეს შეიძლება ძალიან იაფია, მოკლე ხანში, სულ რამდენიმე წელიწადში კი მათი ფასი საგრძნობლად მოიმატებს.

**გოფრედო პარიზე — ცნობილი იტალიელი მწერალი და ყურნალისტი (1929-1986) — ავტორია რომანების „ლამაზი მღვდელი“, „მკვდარი მიჭი და კომეტები“, პიესისა „დილოგი“, მოთხრობების კრებულისა „ადამიანი-ნივთი“ და გახმაურებული რომანისა „პატრონი“, რომელიც ცხარე კამათის საგანი გახდა და მრავალ ენაზე ითარგმნა (მათ შორის, ქართულადაც). მოთხრობების კრებულისა და რომანიც ერთი გადახედვით ტრადიციულიც კი გვეჩვენება, მაგრამ მკითხველი მალე ხვდება, რომ ეს არის თანამედროვე ნიღბების კომედიის სამყარო, რომლის პერსონაჟები არიან რობოტები, ხოლო „პატრონი“ იყენებს ერთგვარ „ადამიანურ მასალად“, რისგანაც უნდა მიიღოს „ნივთი“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიმდინარეობს სახეობათა ბრძოლა და იმარჯვებს ძლიერი.**

მთარგმნელი



გოფრედო პარიზე

# ფული ყველაფერია

ამ თვალსაზრისით თურმე უვარგისი კოლექციონერი ვყოფილვარ. მე კი უმეტესად იმ სახელოვანი მხატვრების სურათებს ვყიდულობ, ვინც ყოველთვის მიყვარდა და დაუფიქრებლადაც ვიხდი საკმაოდ დიდ თანხას, ასეთები კი თურმე სარფიანი არ ყოფილა.

ეს საუბარი სავანგებოდ იმისთვის წამოვიწყე, რომ ერთი ფრიად ყურადღებები ფაქტი აღმენიშნა. და აი, კერძოდ, რა — თუმცა კი ბურჟუა გახლავარ, კერძო საკუთრების გრძნობა მაინცდამაინც პიპეტროფირებული არ უნდა მქონდეს, ყოველ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ ადამიანი არ უნდა განსაჯო მისი ფულისა და, საერთოდ, სიმდიდრის მიხედვით. ადამიანის უპირველესი ღირსება და ჭეშმარიტი სიმდიდრე მისი ჭკუა-გონება და გამძლეობაა, ანუ მისი შრომისუნარიანობა და საკუთარი თავის მუდმივ გადახალისებაზე ზრუნვა.

ასეთია ერთი ხელის მოსმით დახატული ჩემი ავტობორტრეტი, ოღონდ აქ მთავარი ისაა, რომ ამ დროს საკუთარ თავს გარედან, ასე ვთქვათ, სხვისი თვალით ვუყურებდი და არა წინასწარ შექმნილი აზრით, რაკი ჩემი მიზანი იყო საკუთარ თავს დავლაპარაკებოდი და, ბოლოს და ბოლოს, ის მიზეზებიც გამერკვია, რაც ასერიგად უღრმის გულსა და ტვინს ჩემ ცოლს და წარმოიდგინეთ, ჩემ შვილებსაც. ამიტომ ერთ დღესაც პირდაპირ ვკითხე, რა იყო მისი გამუდმებული ნუხილისა და უგუნებობის მიზეზი. და აი, რა პასუხი მივიღე:

— ფული, ჩემო ძვირფასო, ყველაფრის მიზეზი ფულია! კარგად იცი, რომ ყოველთვის გულწრფელი ვიყავი შენთან და არ ვითვალთმაქცებ, ცხოვრებაში მთავარი ფულია და მეც ყველაზე ძალიან ფული მიყვარს.

— ჩემზე მეტად? — ხუმრობით კი ვკითხე, მაგრამ წყენა და შემფოთება მაინც ვერ დავმალე. მან შემომხედა ნათელი, ცასავით კრიალა თვალებით და მტკიცედ გამომიხსადა:

— დიახ, შენზე მეტად! — მერე კარგა ხანს დადუმდა, თუმცა ღიმილითა და გამოცდელი თვალით გადმოხედავდა ხოლმე. მე გვერდით ვეჯექი და თვალებში შეხედვასაც ვერ ვუბედავდი, — აი, ხედავ, ჩემო კარგო, სიმართლე რომ გითხარი, გეწყინა; შენ გგონია ტყუილის თქმა გამიჭირდებოდა და ეშმაკურად, ენის მოჩლექით ვერ გეტყვოდი, არა, შენ უფრო მეტად მიყვარხარ-მეთქი? მაშინ ხომ დამიჯერებდი! ქალების უმრავლესობა აკი ასეც იქცევა და მიზანსაც აღწევს; მაგრამ მე ასეთი არ გახლავარ, ამიტომ ალალი გულით

გითხარი, ფული შენზე მეტად მიყვარს-მეთქი, თუმცა შენც კარგად იცი, როგორ მიყვარხარ და ახლაც ამის დამტკიცება მინდა...

სიტყვა აღარ დავამთავრებინე: — მაგრამ მაშინ, როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, არც ფული მქონდა და არც ის ვიცოდი, თუ ოდესმე შექნებოდა, შენ კი მაინც გამომყევი ცოლად, თან არც არანაირი პირობა არ წამოგიყენებია!

— მართალი ხარ, სწორედ ასე იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ შრომისმოყვარე იყავი და ფულსაც, რაღა თქმა უნდა, იშოვიდი!

— საიდან იცოდა? — ვიცოდი, რა ძნელი მისახვედრი ეს იყო; ჯერ ერთი, მე გიყვარდი, მერე მამაკაცების იმ მოდგმას ეკუთვნი, რომელთაც თვალის ერთი შევლებით ამოიცნობ. მიჭირს ამის ახსნა, ვთქვათ, თუნდაც შენი სახის გამომეტყველება, შენი ჯაგარივით ურჩი თმა, სიმალღე, საერთოდ მთელი შენი იერი იმის გარანტია იყო, რომ ფულის შოვნა არ გაგიჭირდებოდა; ესეც არ იყოს, ძლიერი ხარ, ამტანი, თანაც კეთილი, ოღონდ, რასაკვირველია, კეთილი ჩემი და შენი შვილებისთვის და არა სხვებისთვის, მათთან მკაცრიც ხარ და მტკიცეც, ისიც ვიცი, რომ ფიქრით სულ ჩვენ დავგვტრიალებ და ჩვენი კეთილდღეობის მეტი საზრუნავი არა გაქვს, მთელ შენ ცხოვრებას მე და შენი შვილები ვავსებთ; ყველაზე მთავარი კი ესაა, რადგან იმის პირობაცაა, რომ არც პოლიტიკა გაგიტაცებს და არც კულტურასა თუ ხელოვნებაზე ფიქრით აიტკიცებს თავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სურათებითა და ძველებური ნივთებით შენს გატაცებას, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ჩემთვის მთავარია, ფიქრებმა არ აგიყოლოს.

— ეს რაღას ნიშნავს, რას ამბობ, ჩემი პროფესიის ადამიანმა ხომ შეუძლებელია არ იფიქროს, რა გგონია, მე — ქირურგს, ოპერაციის გასაკეთებლად თუ დიაგნოზის დასასმელად მარტო ხელები მჭირდება და თავი არაფერ შუაშია?

— ვერ გამიგე, სულელი! — არხინად გაიცინა მან, — გჭირდება, როგორ არ გჭირდება და ფიქრობ კიდევ, ტყუილად მყავხარ ასეთი ჭკუის კოლოფი? მაგრამ ფიქრიც არის და ფიქრიც! ჩემისთანა ცოლისა და ასეთი შვილების პატრონმა, ასეთი ძვირფასი ავეჯის, სურათების, ბინების, მანქანებისა და კიდევ სხვა და სხვა ქონების პატრონმა იმდენი უნდა იფიქრო, რამდენიც შენს ოჯახს სჭირდება, „ფიქრსა“ და „თავის ატკიცებაზე“ რომ გელაპარაკებოდი, სულ სხვა რამ მქონდა მხედველობაში.

— მაინც რა, ნება მიბოძე ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინო!

— დიახ, მხედველობაში მქონდა უსარგებლო, ფუჭი ფიქრი... როგორ გავაგებინო, ესე იგი, იმაზე კი არ უნდა იფიქრო, რაც თავისთავად, შენს მიღმა არსებობს და ოჯახს არაფერში გამოადგება...

— მაგალითად?

— მაგალითად ის, რომ სხვანაირი ფიქრი — და, საერთოდ, ამდაგვარი რამეები მამაკაცს დალუპვის გზაზე დააყენებს, უვარგის ქმრად და უსულგულო მამად აქცევს, საბოლოოდ კი მთლად ჯიბეგაფხეკილს ტოვებს. ახლა მაინც თუ გაიგე? მოგეხსენება, დიდი ფილოსოფოსი არ გახლავარ და არც მე ავტიკივებ დიდად თავს ფიქრით, მაგრამ მგონია, რაღაც მაინც შეგასმინე; ერთი სიტყვით, იმაზე არ უნდა იფიქრო, რასაც ოჯახისთვის სარგებელი არ მოაქვს...

— ვერა, ვერაფერი შემასმინე, მაპატიე, მაგრამ ბარემ პირდაპირ თქვი, რისი თქმაც გინდა, მაინც რა გაქვს მხედველობაში — მორალი, რელიგია, სილამაზე, თავისუფლება თუ რა?!

— ეს ყველაფერი ხომ ძალი და კატასავით ეწყობა ერთმანეთს!

აი, რა აზრები გადმოაფრქვია ჩემმა ცოლმა. ერთი შეხედვით, თითქოს მისი სიტყვები, მისი მსჯელობა სულაც არ ეწინააღმდეგებოდა ჩემსას, თითქოს არც თვითონ და არც შვილები უკმაყოფილონი არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი პირიქით ჩანდა; გულიც მიგრძნობდა და ყოველდღე საკუთარი თვალითაც ვხედავდი ამის მაგალითებს; განა ერთხელ და ორჯერ ვყოფილვარ იმის მონმე, რომ ჩემი ცოლი, როგორც იტყვიან, აინყვეტდა ხოლმე, გაღიზიანებული იყო თუ გაბოროტებული აქეთ-იქით აწყდებოდა, ანდა დივანზე რომ იწვა გარინდებული და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა... ხანაც ფანქარსა და ქალაქს აიღებდა და გამალებული ანგარიშობდა, თუმცა მალევე კარგავდა მოთმინებას და აღშფოთებული განზე მოისროდა. რაკი ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირად მეორდებოდა, გადაწყვიტე, ერთხელაც გულახდილად უნდა დავილაპარაკოთ-მეთქი — და ვკითხე, რა გემართება, მაინც რა განუხებს ისეთი, ეგებ მე მაინც გამანდო შენი ასეთი დაღვრემილობისა და გუნება-განწყობის მიზეზი რა არის-მეთქი.

— თუ გგონია, ეს მარტო გუნება-განწყობაა, ღრმად ცდები! — ცივად მიპასუხა მან, — მეცა მაქვს ჩემი საფიქრალი და საზრუნავი და საკმარისზე მეტიც, სწორედ ამან დამიკარგა მოსვენება!

გამიკვირდა, ასეთი მაინც რა უნდა სტანჯავდეს-მეთქი; თითქოს ყველაფრით უზრუნველყოფილია, ისეთი არაფერი აქვია, რაც შეიძლება ქალმა ინატროს; უკმაყოფილების მიზეზი თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეს, ფულიც იმაზე მეტი აქვს, რამდენიც უნდა, სხვა რა შეიძლება იყოს მისი გაუთავებელი უგუნებობის მიზეზი, ნუთუ მიხვდა, რომ მისი აკვირებული „ფული ყველაფერია“ ჭეშმარიტება არ ყოფილა-მეთქი — და ბოლოს ესეც ვკითხე; ერთი კი შემომხედა გაკვირვებით და თქვა:

— აბა, რას ამბობ, რასაკვირველია, ფული ყველაფერია და სწორედ ეს მამფოთებს, ძვირფასო, სწორედ ამან დამიკარგა მოსვენება!

— ვერაფერი გამიგია! — ახლა მე აღვმფოთდი, — ფული ხომ თავსაყრელი გაქვს, მეტი რა გინდა, რა გაფორიაქებს?

— ეეჰ, მაინც ვერ გაიგე! გონებაშეზღუდული ხარ, თუ უბრალოდ არ გინდა რომ გაიგო? ჰო, მართალია, ფული კი მაქვს, როგორ არა, მაგრამ დღეს გაქვს, ხვალ, ერთი წლის მერე, ხუთი, ათი წლის მერე კიდევ მექნება? მატერიალურად მთლიანად შენზე ვარ დამოკიდებული, აბა, მითხარი, ხვალ რომ მოკვდე, მე რა მემკვლეება? შემიძლია ისე ვიცხოვრო, როგორც დღეს ვცხოვრობ? მეორეჯერ მე ვერ გავთხოვდები, ჩემი ასაკის გამო, სპეციალობა მე არ გამაჩნია, არც სხვა რამ განსაკუთრებული!

გაჩუმდა, ღანკებზე ორი მხვილი კურცხალი ჩამოუგორდა, უდავოდ წრფელი დარდის მანიშნებელი — და უსაზღვრო სასოწარკვეთილებამ ერთიანად შეუცვალა საყვარელი სახის ჯერ კიდევ ღამაზი ნაკვთები.



ქართული  
ნიგნის  
პროექტი  
სახელმწიფო



2014 წელს უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ამბავი მოხდა — საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ფრანკფურტის ნიგნის საერთაშორისო ბაზრობის მესვეურებს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. საქართველოს 2018 წლის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსი მიენიჭა, რითაც ქართულ მწერლობას მსოფლიო მკითხველისკენ ფართოდ გაეხსნა გზა. ამ მოვლენამდე ნიგნისა და ლიტერატურის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში ჩართულმა ადამიანებმა, რომელთაც სათავეში დეა მეტრეველი ედგა, არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელეს. მათი, და შესაბამისად, სახელმწიფოს, პრიორიტეტი ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია იყო. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მალევე შეიქმნა ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრი, რომლის დირექტორადაც დეა მეტრეველი დაინიშნა. ცენტრი, უპირველესად, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელია და მისი უმთავრესი მიზანი ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია, ქართული და უცხოური ტექსტების თარგმნის პროცესის განვითარება, კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავება და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ინტელექტუალური გამოცდილების საერთაშორისო სივრცეში წარმოჩენაა. ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრი განსაკუთრებით ემზადება 2018 წლის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობისთვის, რომელიც ყველა მიმართულებით წარმოჩენის საუკეთესო ასპარეზად შეიძლება იქცეს და მომავალი წარმატების საწინდარიც გახდება.

პროექტის მნიშვნელობაზე, მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე საუბარი ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორ დეა მეტრეველი და ვინაყვი, მოგვიანებით კი კითხვებით მის მოადგილეს, 2018 წლის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის ლიტერატურული პროგრამის ხელმძღვანელ მანა ღანელიას მივმართეთ.

## ქართული ლიტერატურის გზა

# 2018 წლის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობამდე



— ქალბატონო დეა, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა კარგა მომდგარი და საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყნის, სტატუსიც სულ მალე ამოქმედდება. მინდა, სწორედ ამ კონტექსტში შეაფასოთ ცენტრში მიმდინარე პროცესების მნიშვნელობა.

— ცენტრის საქმიანობა, მისი პროგრამები, ძირითადი მიმართულებები გლობალურად რომ შეაფასოთ, უპირველესად პროცესია, რომელიც ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ ექსპორტის კუთხით გამოიხატება. რა თქმა უნდა, ქართული ლიტერატურა საბჭოთა პერიოდშიც ითარგმნებოდა და გამოცემოდა სხვადასხვა ენაზე, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მხარდაჭერა არასდროს ჰქონია. დარწმუნებული ვარ, ეს შეუქცევადი პროცესია, რომელიც 2018 წელს ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობით არ დამთავრდება. პირიქით, ამით იწყება ქართული ლიტერატურის დიდი მოგზაურობა და არა მარტო გერმანიასა თუ გერმანულენოვან ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში — ჩვენი ლიტერატურისთვის გაიღება უამრავი კარი (ვგულისხმობ ამერიკულ ნიგნის ბაზარს, ასევე, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისა და აღმოსავლეთის ბაზრებს). აქვე მინდა, გითხრათ, რომ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობამ დააჩქარა ის პროცესები, რომელსაც, მართალია, ველოდით და საამისოდ წინასწარ გვაზადებდნენ კიდევ, მაგრამ მასშტაბები მაინც ძნელად წარმოგვედგინა. რაც უფრო ახლოვდება 2018 წელი, მით უფრო მეტ ყურადღებას ვგრძნობთ მსოფლიოსკენ. ამის დასტურია საფრანგეთთან გაფორმებული მემორანდუმი, კორეის, ირანის, პოლონეთის, ასევე სხვა ქვეყნების შესაბამისი ინსტიტუტების მიერ გამოთქმული სურვილი და მზაობა, განვახორციელოთ ერთობლივი პროექტები, გავაფორმოთ მემორანდუმები, რაც კულტურათაშორისი დიალოგის კიდევ უფრო გაფართოებას ისახავს მიზნად. ეს ყოველდღიური პროცესია. მოგეხსენებათ, მსოფლიოს მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იცნობს ჩვენს კულტურულ მემკვი-

დრობას, ზოგიერთი ტურისტულ რეგიონად განგვიხილავს, ზოგსაც ვიზიდავთ, როგორც ლენინის სამშობლო, უმეტესობისთვის კი მაინც ეკონომიკურად და გეოპოლიტიკურად პრობლემურ რეგიონად ვრჩებით. ვფიქრობ, 2018 წელს სულ სხვა ფოკუსში დაგვიანხავს მსოფლიო — ვაჩვენებთ, რამდენად მდიდარი ინტელექტუალური პროცესები მიმდინარეობს საქართველოში, უძველესი დროიდან რომ იღებს სათავეს და საუკუნეების გამოცდილებას ეფუძნება. ვიმედოვნებ, ყველაფერი წარმატებით ჩაივლის და კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ დასავლურ სამყაროს, მათი დიდი ოჯახის ნაწილი ვართ. მნიშვნელოვანია, რომ ევროპის წინაშე მხოლოდ წარსულის კი არა, უპირველესად, თანამედროვე საქართველოს წარმოჩენით წარვდგებით — გავაცნობთ საინტერესო ადამიანებს, რომელთაც უყვართ თავიანთი ქვეყანა და ამ სიყვარულს სხვებსაც უზიარებენ. საამისოდ დაუდალავად მუშაობს უამრავი პროფესიონალი. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა, უპირველესად, ჩვენს მწერლებს, გამოცემელებს, სახელმწიფო ინსტიტუტებს; ნუ დავუკარგავთ ამას გერმანულ მხარესაც, რომელმაც ასეთი მხარდაჭერა გამოგვიცხადა. გვენდობა, ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში გვეხმარება და ჩვენთან ერთად მოუთმენლად ელოდება 2018 წელს. დარწმუნებული ვარ, იმედებს გავამართლებთ და ყველაფერი წარმატებით ჩაივლის. ასეთი მტკიცე რწმენის საბაზს მაძლევს ის დიდი ძალისხმევა, ერთუზიანად და სიყვარულით, რომელიც ამ საქმეში ჩაიდო და მჯერა, ჩვენი შრომა არ დაიკარგება.

— მზადების პროცესში უამრავი ადამიანი ჩართული. თქვენს გუნდზე რას იტყვი?

— მართალია, ამხელა საქმესთან შეჭიდება სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა, თუმცა ყოველდღიურ პროცესს სწორედ ჩემი გუნდი უძღვება, რომლითაც უზომოდ ვამაყობ. უმეტესობა ქალბატონია — პროფესიონალი, ქართული ნიგნისა და ლიტერატურის ერთგული და ქომაგი. საქმეში დიდი სიყვარულს დებენ და მჯერა, ამიტომაც გვაქვს საუკეთესო შედეგი. გერმანული პარტნიორებიც მუდმივად აღნიშნავენ, ცენტრი მუშაობს მაღალი ევროპული სტანდარტით და უაღრესად პროფესიონალურად. ეს ძალიან მუშავებს.

ფრანკფურტისთვის მზადების პროცესში დიდი წვლილი შეიტანეს ქართულმა გამოცემელებმა. მათთან თანამშრომლობის გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევდით. ძალიან სამწუხაროა, რომ ფინანსური თვალსაზრისით რთული პერიოდი უდგას ჩვენს საგამომცემლო სექტორს. მიუხედავად ამ სირთულეებისა, გამოცემელები ჩვენი მწერლობის ღირსეული ელჩები არიან და, ცენტრთან ერთად, სასურველი შედეგის მისაღებად მაქსიმუმს აკეთებენ. ეს ძალიან დასახალისებელია. საგამომცემლო სფერო ხომ მხოლოდ ბიზნესი არ არის?! შემოქმედებითი პროცესიცაა და თუ ლიტერატურა არ გიყვარს, ვერ იქნები წარმატებული. ეს ძალიან კარგად ჩანს სწორედ ჩვენი გამოცემელებების მაგალითზე. არ შემიძლია, არ გამოვიყვ ამ პროცესის კიდევ ერთი შემოქმედი — მთარგმ-

ნელი — უმნიშვნელოვანესი ფიგურა ქართული ნიგნის პოპულარიზაციის საქმეში. სამწუხაროდ, მთარგმნელთა გამოცდილება, პროფესიონალიზმი, მათი შრომა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად დაფასებული და ადეკვატურად ანაზღაურებული, თუმცა ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრი ამ სფეროს წარმომადგენელთა წინაშე არსებული პრობლემებისა და სირთულეების გადაჭრაზე აქტიურად მუშაობს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვზრუნავთ პროფესიონალ მთარგმნელთა ახალ თაობაზე, რომელიც მომავალში მთარგმნელობითი სკოლის მდიდარ ტრადიციებს გააგრძელებს და მსოფლიოში ქართული ლიტერატურის წარმოჩენის გარანტი იქნება.

— ქალბატონო მანა, 2018 წლის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობისთვის მზადების პროცესში მთავარი მაინც ავტორებისა და ნაწარმოებების შერჩევა, უცხოელ გამოცემელებთან და ლიტერატურულ ცენტრებთან ურთიერთობა, მთარგმნელების მოზიარება და ნიგნების გამოცემაზე ზრუნვაა. დღეს უკვე საათივით არის აწყობილი ცენტრის მუშაობა, მთარგმნელობითი პროგრამა შეუფერხებლად და წარმატებით ხორციელდება. ამ გზის დასაწყისი, ალბათ, არც ისე იოლი იყო, არა?

— ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის პროგრამა 2010 წლიდან ხორციელდებოდა კულტურის სამინისტროში და მას თავიდანვე ქალბატონი დეა მეტრეველი ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი ძალისხმევით ფუნქციონირებს ცენტრი დღეს გამართულად. მინიმალური ადამიანური რესურსით მოხერხდა ის, რომ 2010-2014 წლებში, პროგრამის ფარგლებში, არაერთი ქართველი ავტორის ნაწარმოები ითარგმნა და გამოიცა. ცენტრის დაარსების შემდეგ კი პროცესმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო — ცენტრის ხელმძღვანელმა, გუნდთან ერთად, მთარგმნელობითი პროცესის შეუფერხებლად და ეფექტურად ფუნქციონირებისათვის ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით წარმართა მუშაობა. 2010 წელს, როდესაც პირველად გამოცხადდა მთარგმნელობითი პროგრამა, ორიოდე განაცხადი შემოვიდა მხოლოდ, დღეს კი სააპლიკაციო პერიოდების ფარგლებში 100-მდე განაცხადსაც კი ვიღებთ. მზარდი დინამიკა თვალსაჩინოა.

— ძირითადი მიმართულება ქართველი ავტორების უცხო ენაზე თარგმნა და გამოცემა?

— მთარგმნელობითი პროგრამა ორი მიმართულებით ფუნქციონირებს. ცენტრი ხელს უწყობს ქართველ და უცხოელ გამომცემელებს, რომლებსაც ქართული ლიტერატურის უცხოურ ენებზე და უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნა სურთ. შესაბამისად, მთარგმნელობითი სუბსიდები გაიცემა როგორც ქართველ, ისე უცხოელ გამომცემელებზე. უცხოელი გამომცემელებისთვის ცხადდება პროგრამა „ქართული ლიტერატურა თარგმანებში“. მართალია, უპირველესად, 2018 წლის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობისთვის ვემზადებით, მაგრამ ცენტრი სხვა მრავალ მნიშვნელოვან პროექტსაც ახორციელებს, ასეთი კომპლექსური მიდგომა კი მთარგმნელობითი პროცესის ოპტიმიზაციას უწყობს ხელს. მოგეხსენებათ, 2007 წლიდან



საქართველო ეროვნული სტენდით მონაწილეობს ნიგნის სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრობაზე, მათ შორის ფრანკფურტში, ლაიფციგში, ლონდონსა და ბოლონიაში. ცენტრი ხელს უწყობს არამარტო თარგმანების პოპულარიზაციას, არამედ საგამომცემლო სექტორის განვითარებასაც, რადგან, ძლიერი გამოცემელობების გარეშე პროცესი სრულფასოვნად ვერ წარმართება. შესაბამისად, ინტენსიურად იმართება პროფესიული სემინარები გამოცემელებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების ასამაღლებლად.

მთარგმნელობითი პროგრამის წარმატება დამოკიდებულია კვალიფიციური მთარგმნელებზე. შესაბამისად, ცენტრში მიმართულებითაც აქტიურობს და არაერთ პროფესიულ სემინარს, ტრენინგს თუ კონკურსს სთავაზობს მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელებს. აღნიშნული ღონისძიებები სხვადასხვა დროს ნიგნის ცენტრის უცხოური პარტნიორ ორგანიზაციებთან — გერმანული მთარგმნელობითი ფონდი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, რობერტ ბოშის ფონდი, ფრანკფურტის ლიტერატურული სახლი, ევროპის მთარგმნელთა კოლეგია, ხელოვნების ფონდი NRV, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბრიტანეთის საბჭო, ბრიტანული ლიტერატურული მთარგმნელობითი ცენტრი, ნორვიჩის მწერალთა ცენტრი და სხვა ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ორგანიზაციები — თანამშრომლობით გაიმართა.

— სააპლიკაციო პერიოდები, განაცხადების მიღება და მხატვრული ტექსტების თარგმნისა და გამოცემის დაფინანსება ახსენეთ. უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა ეტაპებს გადის ნიგნი უცხო ენაზე გამოცემაზე?

— ბუნებრივია, ის ფაქტი, რომ 2018 წელს ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყანაა, მნიშვნელოვნად ზრდის ინტერესს ქართველი ავტორებისა და მათი შემოქმედების მიმართ. თუმცა, მიუხედავად ამისა, იოლი არ არის უცხოელ რენომირებულ გამომცემელებთან მოლაპარაკების პროცესის

წარმართვა. ცენტრმა, გარკვეულწილად, ლიტერატურული სააგენტოს ფუნქციაც იტვირთა და დღეს ის კომპლექსურად მუშაობს სასურველი შედეგის მისაღწევად. უცხოელი გამომცემლებისათვის ქართველი ავტორების შეთავაზების მიზნით, ცენტრი, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, ყოველწლიურად ამზადებს კატალოგებს, სადაც წარდგენილია ინფორმაცია ქართველი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ. სპეციალურად მზადდება ლიტერატურული ნაწარმოებების საცდელი თარგმანები, რათა გამომცემელს წარმოდგენა შეეძლოს ტექსტის მხატვრულ ღირებულებასა და თარგმანის ხარისხზე. ცენტრის მიერ მომზადდა ელექტრონული ბაზა, სადაც განთავსებულია ინფორმაცია თანამედროვე ავტორებისა და მათი ლიტერატურული ნიმუშების შესახებ. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ნაწარმოებების საცდელი თარგმანების გაცნობა ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებზე. ინტენსიური შეხვედრები იმართება უცხოელ გამომცემლებთან. ყველაფერი ეს მიზნად ისახავს გამომცემლის დაინტერესებას ქართული ლიტერატურით. დაინტერესების შემთხვევაში უცხოელი გამომცემელი ავსებს სპეციალურ სააპლიკაციო განაცხადს და ცენტრის მიერ გამოცხადებულ მთარგმნელობით პროგრამაში იღებს მონაწილეობას. პროგრამის ფარგლებში, ცენტრი აფინანსებს თარგმანის ან ბეჭდვის კომპონენტს. შესაძლებელია, ორივე ხარჯვის კატეგორიის მხარდაჭერის მოთხოვნაც.

**— მთარგმნელობით პროექტებს სრულად აფინანსებთ?**

— ცენტრის ფინანსური მხარდაჭერა საგამომცემლო პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 50 პროცენტს არ აღემატება. შესაბამისად, პასუხისმგებლობა ორივე მხარეს თანაბრად ეკისრება. უცხოელ გამომცემელს საკუთარი სახსრების ინვესტირება უნევს პროექტების განხორციელებაში, რაც ზრდის მოტივაციას, იზრუნოს მის მიერ გამოცემული ქართველი ავტორების უცხოენოვანი თარგმანების პოპულარიზაციაზე.

**— რა ხდება მას შემდეგ, რაც გამომცემლობების განაცხადს ეცნობით?**

— მთარგმნელობითი პროგრამის ფარგლებში შემოსული განაცხადების მიღებაზე ცენტრის მთარგმნელობითი პროგრამების მენეჯერია პასუხისმგებელი, რომელიც სააპლიკაციო პერიოდებს აკონტროლებს, განაცხადებს იღებს და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე წარადგენს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები განიხილავენ განაცხადებს და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს ხელშეწყობის შესახებ.

**— რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს საბჭო განაცხადების მიღებისას?**

— ყველა უცხოელი გამომცემელი, რომელსაც აქვს ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნის სურვილი, უფლებამოსილია, შეიტანოს ცენტრში განაცხადი. ერთი პირობაა — ნაწარმოები გამომცემელი უნდა იყოს ქართულ ენაზე. განაცხადების განხილვისას სამეთვალყურეო საბჭო რამდენიმე კრიტერიუმით ხელმძღვანელობს. ამოსავალი კარგი ტექსტია, მნიშვნელობა ენიჭება ავტორს, ნაწარმოებს, მთარგმნელს, მის პროფესიონალიზმს, რაც ხარისხიანი თარგმანის გარანტია. თუმცა თარგმანის ხარისხზე, რა თქმა უნდა, გამომცემელიც ზრუნავს, რადგან ის დაინტერესებულია, ხარისხიანი ნიგნი გამოსცეს, რაც მის პოპულარიზაციას უზრუნველყოფს. კიდევ ერთი საყურადღებო კრიტერიუმია — გამომცემის ტირაჟი.

**— ქალბატონო მაია, როგორც ვიცო, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმარ ქვეყანას დიდი სივრცე ეთმობა უცხოენოვანი თარგმანების განსათავსებლად. ამ თვალსაზრისით, რა მდგომარეობა გვაქვს, რამდენი წიგნია თარგმნილი და იქნება თუ არა ქართული მწერლობის ყველა ძირითადი ეტაპი წარდგენილი — უძველესიდან უხლესი ტექსტების ჩათვლით?**

— დაახლოებით 160-მდე წიგნი ითარგმნა მსოფლიოს 30-მდე ენაზე, თუმცა ავტორთა რიცხვი გაცილებით მეტია. ვფიქრობ, ანთოლოგიებს, სხვადასხვა პოეტურ თუ პროზაულ კრებულს, რომელ-



იც რამდენიმე ავტორს აერთიანებს. 2018 წლისთვის 350-მდე უცხოენოვანი თარგმანი იქნება სხვადასხვა ენაზე გამოცემული. მათ შორის, 120-მდე თარგმანი — გერმანულ ენაზე.

ცენტრის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკა ცხადყოფს, რომ ითარგმნილიან როგორც თანამედროვე ავტორები, ასევე კლასიკოსი მწერლები. ჩვენი მიზანია, უცხოელ მკითხველს ქართული ლიტერატურის მთელი სპექტრის შესახებ შეეუქმნათ შთაბეჭდილება. რა ინტერესებს თანამედროვე უცხოელ გამომცემელს? ისინი, ძირითადად, თანამედროვე, ცოცხალ ავტორებს ანიჭებენ უპირატესობას, რამდენადაც ავტორების მონაწილეობით წიგნის პრეზენტაციების გამართვა ტირაჟის გაყიდვაზეც აისახება. მიუხედავად ამისა, ცენტრმა ძალისხმევა არ დაიშურა კლასიკოსი ავტორების შესათავაზებლად და უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არ დარჩენილა მწერალი, რომელიც არ არის თარგმნილი ან არ არის დაგეგმილი მისი უახლოეს მომავალში თარგმნა და გამოცემა. გამომცემლებში ლიდერობს რომანი — ის ყველაზე პოპულარული ჟანრია თანამედროვე წიგნის ბაზარზე, თუმცა რომანებს გარდა, გამომცემელია პროზაული თუ პოეტური ანთოლოგიები. მომზადდა ქართული დრამატურების პიესების კრებული. ფრანკფურტში წარვადგინთ არამხატვრულ ლიტერატურულ ნიმუშებსაც. მინდა, აღვნიშნო ისიც, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის ლიტერატურული პროგრამა, რომელიც მრავალმხრივი და ძალზე საინტერესო იქნება, მოგვცემს საშუალებას, საზოგადოებას ვესაუბროთ

ისეთ წიგნებზეც, რომელთა თარგმნაც 2018 წლამდე ვერ მოესწრება.

**— ლიტერატურულ პროგრამაზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა. რა ღონისძიებებს გეგმავთ სტუმარი ქვეყნის პრეზენტაციის ფარგლებში?**

— ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ქართული ლიტერატურა ფართო სპექტრით იქნება წარდგენილი. თუმცა ლიტერატურული პროგრამა გაცილებით უფრო მასშტაბურია და ლიტერატურული პროგრამის გეოგრაფიულ რუკაზე 20-მდე სხვადასხვა ქალაქია აღნიშნული. წელს, ოქტომბერში, ფრანკფურტში ეგრეთ წოდებული სტატუსის გადმოცემის ცერემონია გაიმართება. საფრანგეთი, წლევიანდელი საპატიო სტუმარი ქვეყანა, ამ სტატუსს საზეიმოდ გადმოგვცემს და, ასე ვთქვათ, ნამზომიც ჩაირთვება. ამ დროიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით ასპარეზი საქართველოს დაეთმობა. 400-მდე ლიტერატურული ღონისძიება გაიმართება გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სხვადასხვა ლიტერატურულ თუ საგანმანათლებლო სივრცეში. ლიტერატურული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ლიტერატურული სივრცეების წარმომადგენლებთან, 20-მდე ფესტივალის ხელმძღვანელთან. ლიტერატურული პროგრამა მრავალ საინტერესო აქტივობას მოიცავს: კლასიკური საჯარო კითხვა, წიგნის პრეზენტაციები, სხვადასხვა სადისკუსიო ციკლი; ინტერდისციპლინური ღონისძიებები: ლიტერატურა და მუსიკა, კინო, თეატრი, ილუსტრატორთა სემინარები, გამოფენები და სხვა...

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში სამეცნიერო-საგანმანათლებლო

მიმართულებაც შთამბეჭდავად იქნება წარდგენილი. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიასთან ურთიერთთანამშრომლობით იგეგმება გერმანიის მასშტაბით სადისკუსიო ციკლის გამართვა საბჭოთა წარსულის გააზრებაზე; ქართველ და გერმანულ პარტნიორებთან ერთად საინტერესო სადისკუსიო ციკლს შევთავაზებთ უცხოელ აუდიტორიას ქართული ფილოსოფიის ისტორიის შესახებ. ქართულ თანამედროვე მეცნიერების მიღწევებზე ისაუბრებენ ცნობილი ქართველი მეცნიერები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბავშვო პროგრამის მომზადებას. ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, მასშტაბური ღონისძიებები იმართება კითხვის პოპულარიზაციის მიზნით. წიგნის ბაზრობებზე უამრავ მოზარდს შეხვედრით წიგნი ხელში. ჩვენც გვაქვს სურვილი, რაც შეიძლება საინტერესოდ დაგვეგმოთ საბავშვო ღონისძიებათა პროგრამაც.

სტუმარი ქვეყნის ლიტერატურული პროგრამის პრეზენტაცია 2018 წლის მარტში ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე გაიმართება. ლიტერატურული აქტივობების გარდა, იგეგმება 150-მდე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებაც, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უწევს კოორდინირებას.

**— ქართული წიგნების ასეთი მასობრივი თარგმნის ფონზე, საინტერესოა, ევროპული ლიტერატურული წრეები როგორ ეხმაურებიან ჩვენს მწერლობას. როგორც ვიცო, მარტში გამართული ლაიფციგის ფესტივალის განსაკუთრებულად წარმატებული იყო ჩვენი ავტორებისთვის.**

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ცენტრის ხელშეწყობით თარგმნილი და გამოცემული წიგნები თარგმნე არ რჩება, მას აქტიურად ეხმაურება უცხოური პრესა, იბეჭდება რეცენზიები ცნობილ ლიტერატურულ პერიოდიკაში. ამის შესახებ ინფორმაციას ჩვენი ცენტრის ვებგვერდზეც შეგიძლიათ ადევნოთ თვალყურით. ახლახან ნაირა გელაშვილის რომანის — „მე ის ვარ“ — გერმანულენოვან გამომცემზე დაინერა რეცენზია ცნობილ გერმანულ გაზეთში Frankfurter Allgemeine, რომლის ფურცლებზე მოხვედრაც სულ რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელიც კი იყო. ამ გაზეთის ლიტერატურულ სექტორში არაერთი ქართველი ავტორის ნაწარმოების თარგმანების შესახებ დაინერა რეცენზია და მომავალშიც არაერთი გამოხმაურება მიეძღვნება ამ საინტერესო ავტორების შემოქმედების კრიტიკულ ანალიზს. წელს ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე პირველად დაეთმო მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პლატფორმა „Das Blaue Sofa“ ქართველი მწერლის, ნაირა გელაშვილის, რომანის გერმანული გამოცემის წარდგინებას. ბევრ საჯარო კითხვას და წიგნის პრეზენტაციას დაესწრებივარ, თუმცა, გერმანულ მკითხველთან ქალბატონი ნაირა გელაშვილის შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ლაიფციგში 15 ქართველი ავტორი და 15-მდე ახალი გერმანულენოვანი გამოცემა იყო წარდგენილი. გაიმართა ოცამდე ღონისძიება როგორც ბაზრობაზე, ისე ქალაქის ცნობილ ლიტერატურულ სივრცეებში. წლევიანდელ ბაზრობაზე მონაწილეობდნენ მწერლები: ანა კორძაია-სამაღვილი, ბასა ჯანიკაშვილი, აბო იაშაღვილი, ბესო ხვედელიძე, გიორგი ლომოხანიძე, ნიკა ჯორჯანიანი, ეკა ქვეანიშვილი, დიანა ანფიმიადი, ზელა ჩეკურიშვილი, დათო ბარბაქაძე. ქართული საბავშვო ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით სამუშაო შეხვედრა 15-მდე გერმანულ გამომცემელთან გაიმართა.

მეექვსე წელია, ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე საქართველო ეროვნული სტენდით მონაწილეობს. როგორც აღვნიშნე, მომავალი წლის მარტში საქართველო, როგორც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანა, სწორედ ლაიფციგში მიაწვდის ინფორმაციას საერთაშორისო აუდიტორიას მთელი წლის მანძილზე დაგეგმილი მრავალფეროვანი ლიტერატურული პროგრამის შესახებ.





2017 წლის 27 აპრილს მწერალთა სახლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ძალისხმევით მეორედ გაიმართა ლიტერატურული პრემია „ლიტერას“ რჩეულთა გამოვლენის საზეიმო ცერემონია.

# აპრილის გამორჩეული „ლიტერა“ტურული საღამო

ვინც რა უნდა თქვას, ფაქტია – ნებისმიერი კონკურსი თუ პრემია სუბიექტურია და ის, უპირველესად, ჟიურის ნევრთა გემოვნების გამოხატულებაა. იქნებ, ამიტომაც არის ხოლმე მათი ვინაობა ბოლო წუთამდე გასაიდუმლოებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კარგად დახელოვებული მკითხველისთვის, შესაძლოა, ძნელი გამოცანობივ არ იყოს, ვინ გახდება გამარჯვებული.

გრამ სამომავლოდ ამ საკითხზეც იმსჯელებენ. მით უფრო, რომ „ლიტერას“ ორგანიზატორები ყოველთვის მზად არიან, მიიღონ პროფესიონალთა რჩევები და გაითვალისწინონ შენიშვნები, რომელიც მომავალ „ლიტერას“ კიდევ უფრო გამორჩეულს გახდის ლიტერატურულ სამყაროში.

ინა: „დღეს დოკუმენტური პროზა მოდური გახდა და ძალიან მიხარია, რომ ჩვენი წლებანდელი პრემია გადაეცემა ღირსეულთა შორის უღირსეულეს ავტორს, შეიძლება ითქვას, დოკუმენტური პროზის ცოცხალ ნიშან-სვეტს, როსტომ ჩხეიძეს.“

ყველა პრემიასა თუ კონკურსს წინ უძღვის მითქმამოთქმა, რომელიც ჟიურის ნევრებს ეხება, ამას მოყვება ხოლმე ვარაუდები – ვინ გახდება გამარჯვებული. ცერემონიის დასრულებისთანავე კი, როცა ჟიურის ნევრებიცა და გამარჯვებულებიც აბსტრაქტული კი არა, კონკრეტულნი და ძალზე ხელშესახებები ხდებიან, გაისმის ბოლო (ხანგრძლივი) აკორდი – სამართლიანობაზე მსჯელობა, გამარჯვებულთა ავ-კარგაინობისა თუ ჟიურის ნევრთა ობიექტურობის განხილვა.

5 ნომინაციაში 5 გამარჯვებულის გამოცხადებამდე ნატა ლომოურმა ჟიურის 5 ნევრი წარადგინა – ლევან ბერძენიშვილი, გიორგი ლობჯინძე, პაატა შამუგია, ანა კორძია-სამადაშვილი, ბელა წიფური. სწორედ ამ ადამიანებმა აირჩიეს პირველ ეტაპზე 98-დან 33, ხოლო საბოლოოდ – რჩეული ნიგნები. მათ ცერემონიაზე კიდევ ერთი ტვირთი ერგოთ – მოკლედ უნდა დაესაბუთებინათ საკუთარი არჩევანი.

ბოლო, მეხუთე ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენამდე საზოგადოებას ჟიურის თავმჯდომარემ, ლევან ბერძენიშვილმა მიმართა: „ჟიურის მუშაობით აღფრთოვანებული ვარ. ასეთი ურთიერთგაგება კარგა ხანია, არსად მიგრძენია. დაგვრჩა რჩევები მომავალი კონკურსისთვის. ნატამ ერთი გააჟღერა – კრებულისა და რომანის ნომინაციის გაყოფა. ასევე მიგვანჩია, რომ სამომავლოდ კარგი იქნება, გაიყოს კიდევ ერთი ნომინაცია – დოკუმენტური პროზა და კრიტიკა, ესეისტკა. ერთი შემოძლია, გითხრათ – არ ვნანობ, რომ 100-მდე ნიგნი წავიკითხე, რადგან განსხვავებით ძალიან ბევრი სხვა კონკურ-



გამარჯვებულების გააფრებამდე კი საზოგადოებას სიტყვით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მიმართა, რომელმაც მწერლებს, პოეტებს, ლიტერატორებსა და მკითხველებს სამომავლო მხარდაჭერა აღუთქვა.



რჩეულთა გამოვლენის დროც დადგა.

### ნომინაცია – საუკეთესო დებიუტი

წარდგენილთაგან ჟიურმა რჩეულად გიორგი შონიას „ფაბრიკაცია“ მიიჩნია (გამომცემლობა „ინტელექტი“). ჯილდო ანა კორძია-სამადაშვილმა გადასცა და აღნიშნა: „ძალიან ძნელია გადაწყვეტილების მიღება, როცა ამდენი არაჩვეულებრივი ახალგაზრდის ნაწერი გაქვს ხელთ. არც ვიცი, რა გითხრათ... ერთია დიდი დამსახურება თავად გიორგისა, მეორე – კეთილგანწყობა, ვინ მოიპოვებდა ხმების უმრავლესობას და მესამე ის, რომ „ლიტერას“ უყვარს გიორგი.“

ამ მხრივ, არც „ლიტერა“ იყო გამონაკლისი და ბუნებრივად გაჩნდა ინტერესი, რომლითაც მწერალთა სახლში შეკრებილი საზოგადოება გამოირჩეოდა.

წარდგენილთაგან ჟიურმა რჩეულად გიორგი შონიას „ფაბრიკაცია“ მიიჩნია (გამომცემლობა „ინტელექტი“). ჯილდო ანა კორძია-სამადაშვილმა გადასცა და აღნიშნა: „ძალიან ძნელია გადაწყვეტილების მიღება, როცა ამდენი არაჩვეულებრივი ახალგაზრდის ნაწერი გაქვს ხელთ. არც ვიცი, რა გითხრათ... ერთია დიდი დამსახურება თავად გიორგისა, მეორე – კეთილგანწყობა, ვინ მოიპოვებდა ხმების უმრავლესობას და მესამე ის, რომ „ლიტერას“ უყვარს გიორგი.“

### ნომინაცია – საუკეთესო პოეტური კრებული

ამ ნომინაციაში მართლაც ერთგვარი ვარსკვლავთცვენა იყო – ტარიელ ჭანტურია, ლია სტურუა, ვახტანგ ჯავახაძე, ნუგზარ ზაზანაშვილი, ეკა ქვეციანიშვილი, ლია ლიქოკელი, თემურ ჩხეტიანი... ჟიურმა არჩევანი ვახტანგ ჯავახაძის ნიგნზე „ელეგია და სხვა“ (გამომცემლობა „ინტელექტი“) შეაჩერა. ხანგრძლივი აპლოდისმენტების შემდეგ პოეტს ჯილდო პაატა შამუგიამ გადასცა: „ძნელია, როცა ვცხოვრობთ პოეზიის ქვეყანაში, სადაც უამრავი კარგი და მაგარი პოეტი გვყავს, არჩევანი გააკეთო. თუმცა კონკურსი ის ფორმატია, სადაც მჯობნის მჯობნი დაილევს და ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, აუდიტორიის განწყობამაც დაადასტურა ჟიურის არჩევანი.“

სისგან, ეს იყო ძალიან მაღალი ხარისხის ლიტერატურა. ჩვენი ლიტერატურა გაცილებით წინაა, ვიდრე ჩვენი საზოგადოება. თამამად შემოძლია, ვთქვა – ჩვენი პოეზია უფრო მაღლაა, ვიდრე რაიმე სხვა. ეს ბედნიერებაა. ხელოვნება არის მთავარი ნიშანი ჩვენი სიცოცხლისა.“

### ნომინაცია – საუკეთესო ნიგნის გარეკანის დიზაინი

წარდგენილთაგან ჟიურმა რჩეულად გიორგი შონიას „ფაბრიკაცია“ მიიჩნია (გამომცემლობა „ინტელექტი“). ჯილდო ანა კორძია-სამადაშვილმა გადასცა და აღნიშნა: „ძალიან ძნელია გადაწყვეტილების მიღება, როცა ამდენი არაჩვეულებრივი ახალგაზრდის ნაწერი გაქვს ხელთ. არც ვიცი, რა გითხრათ... ერთია დიდი დამსახურება თავად გიორგისა, მეორე – კეთილგანწყობა, ვინ მოიპოვებდა ხმების უმრავლესობას და მესამე ის, რომ „ლიტერას“ უყვარს გიორგი.“

### ნომინაცია – საუკეთესო პროზაული კრებული/რომანი

„ლიტერას“ რჩეულად არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) დასახელდა. პრიზი მწერალს ჟიურის ნევრმა ბელა წიფურიამ გადასცა: „ეს არის ნიგნი, რომელმაც კითხვის პროცესში ხელახლა შეგვავტრიალა ქართული პროზის ძალა. ეს არის ნიგნი ტრავმებზე. ეს არის რეკონსტრუქცია ჩვენი სინამდვილისა. დიდი მადლობა არჩილ ქიქოძეს ამ ნიგნისთვის.“

პირველი სიტყვაცა და წამყვანობაც საღამოს მასპინძელმა, მწერალთა სახლის დირექტორმა, ნატა ლომოურმა ითავა. თავდაპირველად პრემიის მნიშვნელობაზე ისაუბრა და იმ სიახლეზე, რომლითაც წლებანდელი „ლიტერა“ იყო გამორჩეული. პრემიის საპრიზო ფონდი 5 ნომინაციაზე გადანაწილდა (საუკეთესო დებიუტი, საუკეთესო პოეტური კრებული, საუკეთესო მოთხრობების კრებული/რომანი, საუკეთესო დოკუმენტური პროზა, საუკეთესო ნიგნის გარეკანის დიზაინი). საბავშვო თემატიკა კი (რომელიც მანამდე „ლიტერაზე“ ერთი-ერთი ნომინაციით იყო წარმოდგენილი) იმდენად უმნიშვნელოვანესად მიიჩნეეს ორგანიზატორებმა, რომ გადაწყვიტეს, მისთვის ცალკე კონკურსი მიეძღვნათ. სწორედ ასე აიღვამს ფეხს საქართველოში კიდევ ერთი ლიტერატურული – იაკობ გოგებაშვილის სახელობის – პრემია, რომლის ლოგოსა და პრიზის დიზაინზე მწერალთა სახლს კონკურსი 15 მაისამდე აქვს გამოცხადებული. საბავშვო პრემია პირველად წელს გაიმართება და ის 13 ნომინაციას გააერთიანებს.

ნატა ლომოურს არ დაუმაღავს, რომ ერთგვარი უხერხულობა შექმნა ნომინაციამ – საუკეთესო პროზაული კრებული/რომანი, თუმცა იქვე აღნიშნა – რამდენადაც ყველაფერი ფინანსებს უკავშირდება, წელს მართალია, ვერ მოხერხდა ცალ-ცალკე ნომინაციად წარდგენა, მა-



**ლიტერატურული გაზეთი**  
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
 საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
 ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940  
 9 772346 794004